



სამგზავრო ბილეთების მიტანა

ბ ი ნ ა ზ ე,

რისთვისაც საჭიროა წინასწარი შეკვეთა წერილობით ან ტელეფონით.

(განთავსების № 3. ტელ. 9—74).

ძისუტანი ფასი გადახდებათ თითო ბილეთზე:

ადგილობრივი მიმოსვლისა
პირდაპირი

მაგარი	რბილი
1 მან.	2 მან.
3 მან.	5 მან.

შავკუთის მიღება თავდება წინა დღით.



Тифлисской гор. станцией З. К. В. Ж. Д.

В В О Д И Т С Я

доставка пассаж. билетов на дом

на что необходимо заказ письменно или по телефону: (Гановская № 3. тел. 9—74).

за доставку взимается с билета:

в местном сообщении
в прямом

жестк.	мягк.
1 руб.	2 руб.
3 руб.	5 руб.

Прием заказа заканчивается накануне.

1910—1924

წელიწადი XIV

№ 14 (17)

ფასი 20 კ. ნიკ.



„თეატრი და სპორტები“
ყოველკვირეული სურათებიანი
ჟურნალი.
რედაქციის მისამართი: ყოფ. ქარ-
თული თეატრი—სასახლის ქ. № 5,
ახალ კლუბის—ს. ეზოში.
ფოსტით: ტფილისი, რედაქცია
„თეატრი და სპორტები“,
იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი სსუკრიბა.

დარსდა 1910 წ.

ივლისის 15

გამოცემა 1924 წ.

ს ა ლ ლ ე ი ს ო

ყველაზე მეტად ხალხს რაც ეკირ-
ება,—ეს გლეხურ-მუშურ მთავრობამ
—საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა იცო-
დეს და იცის კიდევ, რომ ასე ყუ-
რადღებთ ეპერობა, სხვათა შო-
რის, ხელოვნებასაც.

მთავარ ქალაქების (ტფილისის, ქუთაისის, ჰიათურის, ბათუმის და სხ.) თეატრთა დასებს ან რესპუბლიკის განათლების კომისიარიატო ეხმარება თანხით, ან ადგილობრივი აღმასკომი... გარნა მარტო დიდ ქალაქთა თეატრებით ან სახელმწიფო ოპერით ვერ დააურღებთ საქართველო. საქართველო ტფილისსა და სხვა ქალაქებს გარეთაცაა: გარეუბნები, დაბა-სოფლები, ვინ არ იცის, რა უნდევსო მდგომარეობაშია, ხალხს სულიერი საზრდო სწყურია. ის, რასაც სკოლაში ვერ მიიღებს, საზოგადოებასა და ოჯახში ვერ დახვდება, თეატრმა უნდა მისცეს მაგრამ არა იმ თეატრმა, რომელიც აქა-იქ საცოდავ მდგომარეობაში მოიპოება, არამედ ნამდვილმა, უმაღლესად განსტეკავებულმა ხელოვნების ტაძარმა.

აქ საჭიროა არა მარტო თანამედროვე გემით აშენებული დარბაზი, არამედ რეპერტუარი, დასი, როგორც დრამ. მსახიობთა, აგრედვე მიმღერალთა გუნდები. ამის შესრულება კი შესაძლოა.

საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელშეწყობით დაწესებულებანი, უმჯობესია, ამაზე იზრუნებენ, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მზრუნველობა და თვითმოქმედების უნარი უნდა გამოიჩინონ ადგილობრივ მკვიდრთ, რომ მარტო ჩვენი დედაქალაქის მცხოვრები საზოგადოება კი არა სტეკებოდეს უმაღლესი ხელოვნებით, არამედ სრულიად საქართველოს შუა მშრომელი გლეხაკობაც.

ის, რაც უწინ ბერს სალაში ახალგაზრდობას, განუზოცილებელი ოცნება-მარჯვება ახალ თაობას: ბა ევანა, ღღს სინაღლი-ლოში განზოცილდა: სახელმწიფო დრამატიულ ინსტიტუტის პირველმა თაობამ, რიცხვით 21 ქალ ვაჟმა, ან წველ სასკენო ხელოვნების ქურსი დაამთავრა და სახელმწიფო დასში შევიდა.

ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროთა!
ახალმა თაობამ უნდა შესცვალოს ძველი სახელოვანი, ბრწყინვალე თაობა.—ძველი თაობა თუ საჭიარო უნარით მოიღოდა, ბუნებითი ნიჭით,—ახალ თაობას სავანებო ცოდნაც აქვს მიღებული.
და სწორედ ამ უნარიანობის, თვითმოქმედების გამოჩენა მმართველ ახალ თაობას.
ასპარეზი მათი ფართია, სამკალი ფრიალ დიდი—მთელი საქართველოს ხელოვნების მხრივ გაყამირებულნი ნიადაგი და ჩვენი აქტი მოვუწოდებთ ამ ახალ თაობას.
სალამი მათ, გამარჯვება მათს წინსვლას!

ქან შორების ხსოვნას (მოგონება)

რამოდენიმე დღის შემდეგ შესრულდა ერთი წელიწადი ქორეის ტრადიკულ სიკვილიდან. რამდენიმე ამაზნავი (ი. სალაყაბა, გ. ხოუფია, ვოლოდია ოქუჯავა და სხვები) ერთ ბინაზე ცხოვრობდით ქენენის განაპირა უბანში. დილის ხუთ საათზე ვილაკამ დარეკა. კარი გაუღლეთ და შემოვიდა ექვმი ა. ქორკოლიანი დილის გაზეთით, სადაც მსხვილი ასობით ქურა მოკლედ „პარიზი. ჟან ქორესი მოკლეს“. ჩვენ ეს არ დაეჯერეთ. მე გავიქეი რედაქციაში. იქ ფაქტი დადასტურეს. შუადღის დი საღამოს გაზეთები სავეი იყო ნაკოროლოვებით. ერთი იმათგანი შემდეგი სიტყვებით თავდაბოლა—(წერილი ეკუთნოდა შვეიცარიელ ლიბერალს): „წველიაი იცავს ქვეყანას. მოკლეს კაცობრიობის სინიდისი და ადამიანის გონებას საფლავი მიუჩინეს. ევროპის ქურებულ უკვი დარბიანი მხეცებიო“. შვეიცარიელ ბიურგერმაც იგოძიო, რომ ველურების ბატონობა იწყებოდა...

ქორესი დროგამოშვებით ჩამოდიოდა ქენევაში და

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

ლექციებს კითხულობდა, გამოდიოდა მუშების კრებებზე—
დაც—(კლკე. ეს უდიდესი ორატორია რამდენიმე წუთის
შემდეგ სასეტყობი იმორჩილებდა აუდიტორიას. მის სიტყ-
ვეებს ახასიათებდა ორი მხარე. ერთი—იდეალისტური აღ-
მაფრენა. საფრანგეთის სოციალისტების ბელადი იდეა-
ლისტი იყო. თავის სიტყვების უფრო ძლიერ ადგილებში
ის მიმართავდა არა ცხოვრების მატერიალურ მიზეზების
გარკვევას, არამედ ადამიანის მარადიულ სულს, რომელ-
საც, მისი აზრით, დასაბამიდან ძმობა-ერთობისკენ და
სიმშვენიერისკენ მიიღობოდა. ის იყო მეოცე საუკუნის
დასაწყისში უდიდესი ჰუმანიტი არა მარტო მსოფლმედი-
ელოებით, არამედ სულიერი ვანცდობი და მთელი მისი
არსებით. მეორეს მხრივ, არას დროს არ ყოფილა ყორ-
ისის სიტყვა ტრაფარეტული, ერთი და იგივე დებულებე-
ბის მოსაბუზრებელი განმეორება. ის იყო შინაარსიანი და
იდეათა წყვების აღმძვრელი. ამით ის გახსნავდებოდა სა-
ერთაშორისო სოციალიზმის ყველა ბელადებსაგან, რო-
გორც რევოლუციონერების, ისე მარქსისტებისაგან. მიიყვან
ერთ დამახასიათებელ მაგალითს. 1913 წ. ბერნში მოხდა
გერმანია-საფრანგეთის დებუტატების კრება, რომელსაც
საღმერთსტრატო ხასიათი ჰქონდა. საფრანგეთიდან სო-
ციალისტების გარდა რადიკალ-სოციალისტებიც (დღეს
ცნობილ ერთობის პარტია) ბოლოად დაესწრნენ. გერმანი-
იდან ჩამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და რამოდენიმე
ელხასელი დებუტატი. — ბურჟუაზიულ პარტიებთან თი-
თქმის არავინ დასწრებია. ამ კრებაზედ ა ბებელმა წარ-
მოსთქვა თავისი უკანასკნელი საჯარო სიტყვა ომის წი-
ნააღმდეგ. თავმჯდომარემ წაიკითხა ვილჰელმ ბაუერელ გე-
ნერალის მისასალმებელი დებულება—თანაგრძნობა. უკანა
როგებში იჯდნენ ყორესი და ბებელი. ვილჰელმ გენერლის
პაკეფისტურ დებულის წაკითხვას ყორესი აღფრთოვანე-
ბული ტაშის კერით შეხვდა და მის შინაარსს იმპულსიუ-
რად მიაკვირა ბებელის ყურადღებება. მოხუცმა ბებელმა მწა-
რედ ჩაიკინა და უშიშოდ ხელები ჩაიქნია. ბებელი არ
იყო იდეალისტი. მან იცოდა მისალცი დებულების ფასი.
მეორეჯერ ყორესი ენაზე ბაზელის კონგრესზე, სა-
დაც მეორე ინტერნაციონალმა გამოიტანა თავისი ცნო-
ბილი დადგენილება ომის წინააღმდეგ. ერთი მთავარი ავ-
ტორი ამ რეზოლუციის ყორესი იყო. კონგრესის წინა
დღეს ბაზელის უძველესი ეკლესიაში, რომელიც იტყვს ხუ-
თი ათას კაცს, მოხდა უდიდესი მიტინგი, სადაც ილანა-
რაკეს კეიხ-გარდო, ყორესმა, ვ. ადლერმა და სხ. იმ კა-
თედრადმა, სიდანაც მულდელიე ქადაგებას წარმოსთქვა-
მენ, განსა და ყორესის მედგარი ხმა, ხან მქუხარდა და ძლიერ-
ი—გამაფრთხილებელი, ხან ნახი და მგლობლიერი—მუ-
დარის გამომხატველი, რომელიც მოუწოდებდა კაცობ-
რობის მშვიდობა-ნობისკენ, ომის წინააღმდეგ. ეს სახი-
ფათო დრო იყო. ბალკანეთს სისხლის ღირა მზადებო-
და. ყორესი გახუთების ფურცლებზე მტერად არსებით
გაჰკიოდა ომის წინააღმდეგ. არას დროს არ დამეიწყებ-
და მისი წყობის ერთი ადგილი, შემოდგომის პირად და-
წყობის, ზამთარი, მოდი ჩქარა თოვლი, დაფარე ბალ-
კანეთი ისე, რომ ჯარებს მოძრაობა არ შეეძლოთ! ა-
დამიანების გონება-გრძობის გარდა, ეს არაჩვეულებრი-
ვი ადამიანი პანთეისტურად ბუნებასაც მიმართავდა და-
სახმარებლად.

დღეს რამდენიმე კაცი ადგილობრივ სამხატვრო სკოლა-
რეიას ვთავალიერებდით. იქ შემოვიდა ყორესი. მისი ყუ-
რადღება მიიქცია ჩვენთან ყოველა განსვენებულ ვარალ-
შედიანი, რომელსაც ტკიპარი აგებულება და სახე ჰქონ-
და. მოგვიახლოვდა და გვიკითხა: თვენ საიდან ხართო.
ჩვენც აუხსენით. ძლიერ გაუხარდა. გააოკავთა ჩვენი
კატორიულ დებულებების ამბავი. სიყვარულით მოს-
და ისინი. გაავიხსენა და თავისი ბუნებრივი თავმჯიშ-
ში, რომლითაც ის უხვად იყო დაკრძალვებული, ჩვენ-
ზედაც გადმოიტანა. შემდეგ თან გაგვიყოლია და მხატ-
რობის ასხნა-განმარტება დაგვიწყო. წავაწყდით ერთ სუ-
რათს—სურათს, სადაც წარმოდგენილია ქრისტე თავისი
მოციქულებით. ყორესის სახე შეიკუმშა, ერთი ეცვალა
და ენერჯიული თითის მითითებით წამოიხსნა—„აი თუ-
დასო“. იუდას სურათი ბევრჯერ გვინახავს, მაგრამ მაშინ
მისა სახე განსაკუთრებული გავლენა მოახდენა ჩვენზე.
მე დარწმუნებული ვარ, რომ ყორესს არც ერთი თავისი
მოწინააღმდეგე ადამიანი არ სძულდა. იუდას სურათს კი
მან ზიზიით შეხედა და ჩქარა მოშორდა იმ ადგილს.

თუ რამდენათ აფასებდნენ ყორესს მისი იდეოლო-
გიის მოწინააღმდეგეები სოციალისტურ ბანაკიდან, სწინადა გ.
პლენანოვის დამოკიდებულებიდან. პლენანოვს არ მოს-
წონდა არც ყორესის მსოფლმეტეფელობა და არც მისი
იორატორული განმოსახვა, მაგრამ ის ხშირად იტყოდა:
უსათუოდ დიდი პიროვნება ყორესიო. პლენანოვს კი
მოღვაწეების ქება არც ასე ხშირად წამოსდებოდა. ორი
კვირის შემდეგ ომის დაწყებისა, პლენანოვი პარიზიდან
ყენევაში ჩამოვიდა. ის არ იყო კმაყოფილი იმ ხანად
საფრანგეთის პარტიის პოლიტიკაში, ხმა უნდა მიეცოთ
თავდაცვითი ომისთვის, მაგრამ საკუთარი დეკლარაციით
უნდა გამოსულიყვნენ სოციალისტები. მოზოლად ერთი და-
სამართლებელი საბუთი აქვთ ომის წინააღმდეგ. მათ თა-
ვი მოსწონდა. პლენანოვი აშკარად ხედავდა, რომ ყო-
რესის სიკვდილით საფრანგეთის სოციალისტებმა დაკარ-
გეს უდიდესი ხელმძღვანელი.

ყორესის მოკლვის გამო იმ ხანად ყენევის ემიგრაციაში ორი ვერსია დადიოდა. პირველს დაყენებით იმეო-
რებდა მარტოვი: მოაკლენენს რუსეთის მეფის აგენტებ-
მა, რადგანაც ყორესს განუცხადებია: თუ რუსეთ საფრ-
ანგეთის კავშირს ჩვენ ომისკენ მიეყვებათ, დაყოვენიე-
ბედ უნდა დაინგრეს ეს კავშირიო. მეორე ვერსიით,
ყორესი მოკლეს გერმანელ მონარქისტების აგენტებმა,
რომ ამით გამოეწევათ საფრანგეთში სამოქალაქო ომი
და ის ავიღოდა დაემარტებოთა. ყოველ შემთხვევაში
აშკარა იყო და დღესაც აშკარაა, რომ მისი ფიზიკური
მკვლელობა—გილენი, რომელიც შემდეგ კტუაზე შეიშალა,
სხვისი დაჯალბებით მოქმედებდა. იტუტოების ორდენები
მარტო საშუალო საუკუნეებში ხომ არ ასრულებდნენ...

ყენ ყორესის საერთაშორისო სოციალიზმის რევოლუ-
ციონისტულ ფრთას ეკუთვნოდა. თავის მოღვაწეობის უკანას-
კნელ წლებში მას აშკარად სწამდა, რომ სოციალიზმის
მედროულ მუშათა კლასია. მაგრამ, მისი აზრით, უკანას-
კნელმა თან უნდა გაყოფილი წყრილი ბურჟუაზიაც (გულ-
ხობის ნაწილი, ხელოსნები, რადიკალური ინტელიგენცია),
რომელიც გროვდება რადიკალ-სოციალისტების გარშემო
და მასთან შეთანხმებით უნდა მოახდინოს მთელი რი-
ვი რევოლუციების: მსხვილ წარმოებათა ნაციონალიზაცია,

ბაზელის კონგრესის დასრულების შემდეგ, მეორე



მუღმივი ჯარის გაუქმება და სხ. ეს იქნება სოციალიზმის დასაწყისი. რადიკალურ ბურჟუაზია ამაზე დასთანხმდება, საჭიროა მხოლოდ მისი ვათიფიკაციები, რაზედაც თვითონ ყორესი შრომას არ იმუშავებდა. რადიკალურ ბურჟუაზიას—კერძოდ მესაკუთრის—ამხედრება მსხვილი მესაკუთრეების წინააღმდეგ ადვილად შეიძლება, რადგანაც ყორესის მსოფლმხედველობით, ადამიანი თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს არა მარტო მატერიალური, არამედ იდეალური მოსაზრებითაც. (მისი ფილოსოფია იყო დუალიზტური) ეს მოსაზრებები კი საშუალებას აძლევდა შეგნებულ რადიკალურ ბურჟუაზიას მსხვილი საკუთრების წინააღმდეგ გალაშქრებულიყო სოციალისტებთან ერთად. აქ ყორესი ფართოდ უხვევდა ზვას კლასობრივ შეხედულებას და ჩვეულებრივი, ჰუმანისტური განცდით ხელმძღვანელობდა

პარიზში მოკლეს არა მარტო უდიდესი ორატორი და იდეალისტ-ფილოსოფოსი, არამედ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საუკეთესო ისტორიკოსი. მისი ოთხ ტომიანი ისტორია უდიდესი ხალხით იკითხება და სულ ახალი მიღწევაა დიდი რევოლუციის გასაშუქებლად. ამას მტრებიც აღიარებენ.

დასასრულ ირიოდე სიტყვა ადამიანზე. ყორესი არა მარტო პროგრამის კაცია, არამედ სინდიკალური ადამიანი. ყველამ იცის, რომ ყორესი პროგრამით იყო რეფორმისტი, ხოლო სინდიკალიზმით უდიდესი რევილუციონერი. ეს ყველაზე დიდი პიროვნება საფრანგეთში სრულიად სადა ცხოვრებას ეწეოდა. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „სამოთხის კარები რომ გაიღოს და ყველა ადამიანი შიგ შევიდეს, თუ ერთი დაზარალებულიც დარჩა გარედ—მე მისთან დაერჩებიო“. ეს მისი მხრივ მარტო სიტყვათა კი არ იყო, არამედ საქმეც.

საფრანგეთს ვადაუწყებელია მისი გვამი პანთეონში გადაიტანოს, სადაც მარბია გონების და ხელოვნების

უდიდესი წარმომადგენლები. ეს პარტიკუმიანის—სურსამალური მხარეა. მოწინავე კაპობრიობას მეორე გზა აქვს მის დასაფასებლად: როდესაც ბოლო მიიღება საერთაშორისო ომებს—ყორესის სახელიც მაშინ იქნება პარტიკუმიანის და სიყვარულით მოგონებული.

18 ივლისი.

ბიქტორ თევზაია.

სეზონის თავი და გოჯო

(გაგრძელება იხ. № 7. და ც. 14)

და და და და.

ყველაზე მძიმე არტილერია, რომლითაც უმსაპინძლედებიან ოპოზიციით გადაქცეულ მთელ საზოგადოებას— ეს არის: მარჯანიშვილი და მისი დაღმანი.

მარჯანიშვილის დაღმანი არა თუ ევროპაში, თვით ჩვენშიაც არ წარმოადგენს არავითარ ახალ სიტყვას.

ამ დაღმით ეწოდებთ ეკლექტიკური ე. ი. წარმოდგენაში მოცემულია უმთავრესად ყველა ჯურის სანახაობა და გასართობი. ამ არის ცეკვა, თამაშობა, სიმღერა, მუსიკა და სხვა. ყველაფერი ეს რაც შეიძლება მხატვრულ ფორმებში უნდა იყოს გატარებული.

ევროპის ყოველ დიდ ქალაქებში არიან ესეთი თეატრები, მაგრამ მთუხედავთ ამ მრავალმხროვანებისა, ამ თეატრებს პირველი ადგილი არას დროს არ უჭირათ.

ჩვენშიც იყო „მარჯანიშვილისებური“ დაღმანი მარჯანიშვილზე ბევრთა ადრე. ეს იყო „სინათლე“ შალიკაშვილისა და წუწუწუვის მიერ დაღმებული, და „ბერდოშმანია“ ახმეტელის მიერ.

მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამ ორ დაღმას ჰქონდა შემთხვევითი ხასიათი. მარჯანიშვილმა კი ამას მისცა სისტემატური ხასიათი.

ჩეჩი... მარამ...

ჩემი მარამო ყველა ფრთები დამსხვრეულია, როგორც ჩემი წარმოდგენები...

ტუხილ ხაზებთან დასერვილია თითო ფირფიტა... და დღეს.. ეს... კიდევ... უკანასკნელი, ხელში ჩამეშტვრა, როდესაც თავი ავიღე და მოულოდნელად შენს თვალებს შეევიდა..

ხელში მარამო... შენც მარამო?... გაიღევა გარედ... ცოტა ხნის შემდეგ გრგვინვა მოისმა... ქარის ზუზუნო...

გააუთრებული ატირდა ღამე... გველი გარედ.. სვეტთან დავედქი. გავრილია შუბლი... შორიდან კენესა... სიცილი ქარის... მძიმე ჰაერი...

- ... თვალში მარამო...
- ... თვალწინ შენ..
- ... ცრემლები არსად...
- სევდიანი ღამილი პირზედ.. ტკივილი გულში...
- სულ დაინსხვრა ჩემი მარამო...
- ვიღნდა გააჟოქო?.. ღამისა...
- ამ უკანასკნელ ფირფიტაზე შენს სახელს დავეწერე
- ... ბრუნდი ასიებით..
- იქნება არაჟი?.. კარგი?
- ... ისევ დიმილი..
- ... დამსხვრეული მარამო ხელში...
- ... თვალმხვრედ ცრემლები...

- გატაცებო...
- შეიძლება სიყვარულიც კი— მხოლოდ გვიანი...
- ... სინანული...
- ... მარტოდა ღამის ბურუსში...
- ... ცრემლები ყვლთან...
- ... დამსხვრეული ფირფიტა ხელში...

ნინი ჩიხლაძე.

შარლ გოჯოშვილი

ბებრის სახოწარკვეთილება.

პატარა დაღმეკილ ბებრეკანის უხაზიან ამ ღამაზე ბავშვის დანახვა, რომელსაც ყველა აღტაცებით ეგებება და სცდლობს თავი მოაწონოს... ეს ღამაზე არსება იმისთანავე სუსტია, როგორც პატარა ბებრეკანა და მასსავითი უჭიბლო და უთმო. მოუახლოვდა ბავშვს მისაფერებლად, უღიმოვდა და უცინოვდა, მაგრამ ის ბებრის ალერსისაგან გულგახეთქილი ფართხალბუბა და სახს თავისი ტოლილით აესტედა. მაშინ ბებრეკანა საუკუნო განმარტოვდა, სტაროვდა და თავის თავს ეუბნებოდა: „ჰო! ჩვენ სამბარალო ბებრებისთვის დრო წყვიდა მოწონებისა, უმანკოთათვისაც კი, და ზოგს ვიწვევთ იმ პაწიებში, რომლებს სიყვარული გვსურს“.

ფრანგულით მან-ონ.

ასეთ დადგმას უშეველით შიქებს მხატვრობა, სი-
ცოცხლე, სიხალისე და გათობა თეატრში.

ამ მხრივ მარჯანიშვილმა გააკეთა მეტი ვიდრე
სხვა, რადგან მის ჰქონდა ყოველივე განუსაზღვრელი
შესაძლებლობა მის შესასრულებლათ.

მაგრამ ძალიან ხშირათ ცალმხრივობაშიც ჩაიფლე-
ბოდა ხოლმე.

ბელეტრისტის ვატაცებით, ხშირათ ანგარიშს აღარ
უწევს ლოლიკურ სინამდვილეს, ფსიქოლოგიურ სისწორეს.
და მაშინ მხატვრული ქმნის მაგიერ გამოიღიოდა მხოლოდ
შარკი.

ასე მოხდა სწორედ პირველივე წარმოდგენის „ვა-
კრას“ დროს. იქ სწორიად უაღვლიოდ იყო თავმოყრი-
ლი ყველაფერი: კალო, დარია, ცანკალა და გოგონა, მე-
სტრიე, თარი, ბაიათები, „გარმოშკა“. ყველაფერმა ამან
მხატვრული სიამოვნების მაგიერ დასტოვა უბადრუკი
წიათიქილითობა.

პირველ წარმოდგენას ყოველთვის ეტყობოდა ერთ-
გული მუშაობა განმეორებაზე ყველაფერა ხუნდებოდა
ნიღ-ნიღა. და თითქმის როლებშიც კი ავწყდებოდათ ხო-
ლმე მსახიობნი.

ყოველგვარ კრიტიკის გარეშე იყო „ოტელისი“,
„სინათლისა“ და „ოიდიპოს მეფისი“ დადგმა.

ამაივე უნდა შეუერთდეს „ცხვირის წყაროც“. იგი
სულ აღარა ჰგავდა შარშანდელ „ცხვირის წყაროს“.

ეს დადგმა ძალიან სათაკლოთ ჩაითვლება მიღ-
სუნაწიში. მეტადნი იმ დროისთვის, რომეც იც მხოლოდ
დადგმითა სტილიზმის შესარულებინოს თეატრს თავისი
მოვალეობა.

აქ მსახიობნი ნამდველ „იტალიურ გაფიცვას“ მო-
გავაგონებდენ.

ყოველად შეუწყნარებლათ ჩაითვლებოდა შმათის
წარმოდგენები.

შმათის წარმოდგენა ყოველთვის ეკუთვნოდა პროფ-
კავშირის წევრებს. ამ დღეს ესწრებოდენ მხოლოდ მუშე-
ნი და მოსამსახურენი.

ამ ხალხისთვის თუ უკეთესად არა, ისევე მაინც
უნდა ეთამაშათ, როგორც სხვა ჩვეულებრივ საზოგადოე-
ბის წინ. მაგრამ ჩვენ გზდავთ სრულიად წინააღმდეგს:
სწორათ ამ დღეს საგანგებოთ ყველაფერი ულაზათით
იყო. თითქოს ის წარმოდგენა დაკარგულათ ითვლებოდა.
თითქოს იმ აუდიტორიას ანგარიშში არ ავდებდენ. ამ
დღეს არც როლებს ცოდნა, არც წესიერი დადგმა. ყვე-
ლაფერი ფუსქავატურად, სხვათა შორის.

ეს ყოველად შეუწყნარებელი ქცევა იყო ჩვენი თეატ-
რის ხელმძღვანელებისა.

საუკეთესო დადგმათ ჩაითვლება „მალტრემი“.

დადგმაში რეჟისორზე არა ნაკლები ადგილი უქო-
რათ მხატვრებს.

„გაყრა“ და „შვის დაბნელება“ ისეთივე თანაბარი
შეილია სიღამინ ერისთავისა, როგორც მარჯანიშვილის.
ზდანევიჩისა და ვატიკელის როლი ისეთივე ენიშნებო-
ვანია ყველა მათ მიერ ნაწენ პიესებში, როგორც რეჟი-
სორის.

მაგრამ ზოგიერთ დადგმაში ძალიან უწნოთ იყო
შეტანილი გემოვნების მომჭრელი დისონანსი.

„გაყრაში“ მღვდლის მოყვანა კალორა.

„მალტრემის“ პირველ წარმოდგენაზე „ინტერნა-
ციონალის“ სიმღერა ბოლოში.

ყველაფერი ეს მხატვრული ბარბაროსობაა, რომე-
ლიც თავისი უაღვლიანობით და ულოლიკობით ყველას
კბილსა სჭირდა.

ძალიან ხშირათ იყო ჩარეული კბილმოსატყუარი,
იღვ ფასიანი ოხუნჯობა-გამბაზობა რაც მხატვრობის
დამახინჯებთ ჩაითვლება და არა მის გასაძლიერებლათ.
[ამისი მაგალითები მრავლათ არის „გაყრაში“, „შვის და-
ბნელებაში“ და სხ.)]

აგრეთვე ძალიან ყალბმა აზრმა მოიკიდა ფეხი, თი-
თქოს მარჯანიშვილი და მისი ჯგუფი შემარცხნებობის ანჭ-
ექსპრესისონიზმის დამცვენი და გამტარებელი იყენენ.
დაუფრებელი ამბავია.

ექსპრესისონიზმი — ეს შემოქმედის თავისებურ განც-
დათა კომპლექსია რომელიმე მხატვრულ ფორმებში და-
ძრული.

მისი განმასახიერებელიც უნდა იყოს საკუთარი
ექსპრესისონისტული სულის გუნება.

აქ მსახიობი შაბლონი კი არ უნდა იყოს, არამედ
შემოქმედი, რომელიც ავტორის ფარგლებში იძლევა ახალ
და ახალ სულიერ სახიერებას.

მაგრამ მსახიობის არ შეუძლიან იყოს ასეთი მდიდა-
რი, ძლიერი და თავ სებუი. ექსპრესისონისტული ნაწარ-
მოები კი სხვაგვარ თამაშს ვერ შეითვისებს. ამიტომ
ექსპრესისონისტული დრამატურგია თითქმის ჩაკედა თავის-
ვესვე სამშობლო გეოგრაფიაში.

ჩვენსა მით უმეტეს — ექსპრესისონიზმი კი არ არის
აღმოცენებული ჩვენი საკუთარი სულის შფოთვიდან, მის
წვა და გრუბიდან, არამედ იგი ვაცნობილია თითო-
ორილა წიგნისა და ჟურნალის წყალობით და აქედან
არის გამოწვეული ცალკერი გარეგნული მიზამდე
ლობა.

ამიტომ იყო: როგორც „ადამიანი-მასსაში“, აგრეთ-
ვე „გაზშიც“ დაიწყეს ჩვენმა მსახიობებმა თითქოს შე-
საფერად, მაგრამ სულ ჩქარა გადავიდენ რეალისტურ
თამაშობაზე და ამითი დაჰკარგა ნამდვილი სული ორთუ-
რე წარმოდგენამ.

საერთო აზრია გავრცელებული, თითქმე მარჯანი-
შვილის დადგმაში — ეს არის რალაც ჯადოქრული რამ.

ეს უფრო უნახაობის მოასწავებს, ვიდრე ნამდვილ
შეფასებას ხელოვნებისას.


მართალია მარჯანიშვილმა შეიტანა ერთგვარი
მხატვრული სისტემატიზაცია ქართულ დადგებში, მაგ-
რამ ეს არის სულ ჩვეულებრივი დადგმანი თანამედროვე
თეატრალურ სტეორიაში.

ვეროპაში — ეს სულ ჩვეულებრივი მოვლენაა საშუა-
ლო თეატრებში. ამაზე ნაკლები დადგმა იქ აღარც არის
წარმოსადგენი. რუსეთშიც რომ განსაკუთრებულს ყუ-
რადღებთ ეპრობიან თეატრის მხატვრობობას
საკმარისაა გავისხენოთ ტყვილისში სტუმრათ ჩამო-
სული ბაქოს დასი

ეს საუკეთესო მაგალითია იმისი, რომ ქართული
„ჯადოქრული“ დადგმანი ბევრით ჩამორჩებიან ამ საშუა-
ლო დასს თავისი მხატვრობობით, ფანტასტიკობით და
სიღამაზით.

მიუხედავად ამისა წარსული სუნობის ერთად-ერთ
დადგმთ მხარედ მაინც დადგმანი ჩაითვლება და არა
სხვა რაიმე თვისება.

როგორი იყო აღსრულება? ამაზე შემღევ.



მუსიკოს-ორიენტალისტი ალ. ოღანეზაშვილი.
„თეატრი და ცხ.“ № 13. სალ. სახ.

იოსებ დავითაშვილის ხსოვნას

(დასასრული. იხ. „თ.“ და ცხ. № 13 (16).

1884 წ. მე მომიხდა ჩრდილო-კავკასიისკენ წასვლა, დავითაშვილი-კი გორს წავიდა; იქ არსებულ დეპოს დახლიდრდაც იყო ცოტა ხანს, მაგრამ დეპო მალე დახურეს, ამიტომ ამავე წელს დავითაშვილი ისევ ტფილისს დაბრუნდა.

1885 წ. მეც ტფილისს დავბრუნდი და სახლში დავიწყე მუშაობა სამხარო საქმიანებზე ჩემი ძმებით; დავითაშვილიც ჩვენთან ერთად მუშაობდა, ჩემ ბინაზედვე ცხოვრობდა, კვირაობით ვყიდდით ზაზარზე ჩვენს ნამუშავარს და ვინაწილებდით, მასალის გაჰოკლებით, თანასწორადა.

ერთ კვირა დღეს, რაც გვექონდა, გავყიდეთ; საათის ორი იქნებოდა, დავითაშვილთან ერთად წავედით ჩაის დასალევად, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ვინჩქას საჩაიეში (ეს იყო ლონდონის სასტუმროს უკან, მტკვრის პირად). აქ მოვატანინეთ ორი შაურის ჩაი და ერთი შაურის პური, 4 ვიყავით: 3 ჩვენ ძმანი და მეოთხე დავითაშვილი, ჩაი რომ დავასხით ჭიქებზე, სწორედ ამ დროს მოვიდა ჩვენთან ერთი მოხუცი დაგაზაგებული, დაღუსტებული, დაგლეჯილი ტანსაცმელით, წელში მოხრილი, ყოფილი კალატოზი, მუშა; ისე მისუსტებული იყო, რომ სულს ძლივს იბრუნებდა. მოვკმართა ავანკალბებულას ხმით:

— ვხედავ, თქვენც ხელოსნები უნდა იყვნეთ. როგორც დავითაშვილის და დაუძღვრებულს მუშა-ხელოსანს დამეხმარეთ რითმე თქვენს სადღეობად; თუ გწამთ აღამაინობა, კაცობურაგობა.

ამ დროს ი. დავითაშვილი სწრაფად ფეხზე წამოდგა, თავის სკამზე დასვა მოხუცი დაუძღვრებული ხელოსანი, თავისი ჩაის ჭიქა დაუდგა წინ და პურიც მივიცით. საცოდავმა ხარბად დაუწყო სმა-კმა. დავითაშვილი-კი ფეხზე იდგა, ამ უბედურ მუშას დაფიქრებული შესტკვროდა, მერე, თითქო რაღაცა მოა-

გონდაო, თქვა ესლავ მოვალო, და სწრაფად გატყუვდნო ტრაბტირის უკანა კარებისკენ. ჩვენი სტუმარი ამუშავეს ლოსანი-კი თან ჩაის სვამდა, თანაც თავის უბედურების მიზეზზე საუბრობდა, მოსტკვამდა, ასახელებდა ერთ ვილაცა სერგო მოიჯარადრეს, რომელთანაც 30 წელი ემუშავებდა; ბოლოს ავადმყოფობის გამო დაეთხოვნა. სთვრობ-სილათაკეში ჩაყარინილი უძლური, გლახაკთა გავხდიო. ცოლ-შვილიც სიმშოლით ამომიწყდა და ახლა მეც ენატრობ სიკვდილსაო; ან რაღა ჩემი სიცოცხლე, ვერც ჩემს თავს ვარკვიარ და ვერც ხალხს და ქვეყანასო. ამ წყველ სიკვდილსაც დავაფიწყდი და აღარ ვავონდებო.

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა ამ უბედურ მუშას, მაგრამ მოსამსახურე მოვიდა და გვათხრა:

— სტოლი დაცალეთ, სამი შაური თუ აბაზი დახარჯეთ და მთელი დღე ხომ აქ არ ისხდებითო.

ჩვენც წამოვიშალენით და რომ უნდა გამოვსულყვიყვიო, ამ დროს იოს. დავითაშვილიც შემოვიდა; რადგან იოსებს ჩაი არ დაელივნა, მოვითხოვეთ კიდევ ერთი ჩაი და 3 კ. პური. დავითაშვილმა ჭიქაზე ჩაი რომ დაასხა, უბიდან ამოიღო პატარა ქალაღი, კარანდაშით დაწერილი და თქვა: გინდათ ლექსი წავგიკითხოთ. ჩვენ თანხმობაზე წაითხა ამ სათაურით:

„ბედის წყარო.“

რამ დავაშრო, შე ოხერო, ღარიბების ბედის წყარო, ამოდუღდი, რომ ქვეყანა ერთნაირად გააბარო!

მე გულსა მწვავს ეს სოფელი ორ ნაირად გაყოფილი; ბედით ჩაგროუს უღვთით სტანჯავს თავის ბედით კმაყოფილი.

ზოგი ხარობს და ზოგი კი ბნელს მარხია, როგორც ჭურთ, მძლავრნი ამ ჭურს ჩასძახიან — გავციწიეთ სამსახური *).

ლექსის წაითხვის შემდეგ, იოსებმაც ჩაის დალევა გაათავა და წამოვიდით სახლისკენ. როგორც ზემოთ ვსთქვი, რამოდენიმე ხანს ჩემ ბინაზე ცხოვრობდა დავითაშვილი, შემდეგ იოსებმა თავად-სახაურთა თეატრში იშოვნა ადგილი, სტენაზე ფარდების აწვე-დაწვევაზე მუშაობდა, მაგრამ აქედანაც დაითხოვეს.

რამდენიმე ხანს ცუდად დარჩა, ემებდა მსუბუქ საქმეს, რადგან გულს სიგანეირის და თიაქრით ავადმყოფობის გამო ძიმივ სამუშაოს ატანა არ შეძლო, მაშინ-დელი ჩვენი ბრწყინვალე მწერლობა უფრადლებას არ აქცევდა. ი. დავითაშვილიც კი საქმეს ემებდა, ძლივ-ძლივობით იშოვნა 1885 წ. უკანასკნელ რიცხვებში, თუხილ „ივერიის“ დამტარებლობა, თქვი 10 მანეთათ, და რამოდენიმე კვირის თუ დღის შემდეგ, აქედანაც გამოავდეს, რადგან 15 მანეთი ჯამაგირი ითხოვა.

მის. ჩადრიშვილი.

(დასასრული იქნება)

*) იოსებ დავითაშვილის გამოცემულ წიგნში ეს უკანასკნელი ორი პქარი ასეა: „და ამ სოფელსა ვაგლანი გაუწიეს სამსახურიო!“. აქედან ხანს, რომ ძველ ცენზურთა და შესაძლოა რედატორთა წყალობითაც დავითაშვილის ზოგიერთ ლექსში შეუსწამოა და იყოლება შეპარული.



აღმოსავლეთის საფოსტო საკრებულო

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ 13 (16)).

ჩ ა ნ ნ ი

ეს მუხლი გუჟყუებს, თუ ჩანგი რა ხისგან და როგორ უნდა გაკეთდეს. ჩანგი სხვა საკრებულოებთან შედარებით ჩამორჩენილია ანუ შეუსრულებელი *) ჩანალი (რეზონატორი) პარკს უნდა გავდეს (სიღრმით ოთხი ღია თითისა); შიგნითა მხარე წებოში არეული დანაყლი „სარჩა“-თი **) უნდა ამოიღოს და პირზე ეტრათი გადაეკრას, ქედი გრძელი და ცხენის კისრისებ მოდრეკილი, სიგრძით ოთხი და სიგანით ერთი მტკაველი, რომელიც თან და თან ვიწროვდება. ფარდები ქერამის ხისგან უნდა იყოს (კაკლის ხისაც შეიძლება). ხარკი (ჯორა) 24 ან 25 ნაწილად უნდა დაიყოს, მასზე გადაებული ფიცარი, რომელსაც „ნაზი“-ს უწოდებენ, ჩანალს ოთხ ადგილიდან უნდა მივბას (ცხენის ძეით).

ჩანგის სიმები სანაირი უნდა იყოს: 8 ცალი ე. წ. „ჰალ“ 8—„ზირა“ და 8—„მუსლას“ სულ 24.

ჩანგი მარცხენა ილიისაკენ დაიკავონ, სიმებიც მარცხენა ხელით ააწყონ, ფარდები კი მარჯვენა ხელით მომართონ. სიმების მოწყობა მესხეთმეტე (ჰალ) სიმის მხრიდან დაიწყონ, შემდეგ მახლობელ სიმებს შეეხონ ისე, რომ „ზირა“ და „ნაზი“-ს (ოქტავეები) შეახებლით ერთად აგარიშებ იყვნენ. „ზირა“ სიმები მარცხენა ხელით უნდა დაუკრან ისე, რომ სალოკი თითი მარჯვენა ხელის თითს (ცერს) შეეხოს. მარჯვენა ხელის სალოკი თითი მერვე სიმს და ბითი მეათე სიმს შეეხოს.

მ უ ლ ნ ი.

ამ მუხლში მოხსენებულია მულნის გაკეთება და მისი სხვა ცნობანი. მულნი გამოუგონია საფედლინ აბდულ მო-

*) სიტყვა „ასიკი“ (შეუსრულებელი) კონკრეტულ შემდგომად მიმანი: უნდა იყოს „ასიკი“, რაიც ნიშნავს—ძველს.

**) საერთოდ წებოში არეული ნახერხით ლესავენ ხალხში „სარჩა“ ნიშნავს: ჩიტ, ნეკი, ბროლი და სხვა, რომელნიც არც ერთი არ უხდება აზარს.

მთარ.

მინს *) როცა იგი ისპანში იყოფებოდა. მულნი მიზამკა მისგავსებია: რებად, ქანონ და ნუჰისა. იგი ქერამის ხისგან უნდა მომზადდეს; მისი ჩანალი, რებაბის ჩანალიც მოზრდილი უნდა იყოს, სიგრძით ერთი მტკაველი და ხუთი გოჯი, სიგანით ერთი მტკაველი და ოთხი გოჯი სიღრმე ორი ღია თათი უნდა იყოს; შიგ, წებოში არეული დანაყლი „სარჩა“-თი ამოიღოს და პირზე ეტრათი გადაიკრას.

ტარი ოთხეუთხიანი, ზომით ორი მტკაველი და სამი ღია თრთი, სიღრმით ორი გოჯი უნდა იყოს და ზედ წმინდა ფიცარი გადაიკრას. ტარის ზემო მხარეს გრძელი ხარკი მიეკრას ისე, რომ მის ზეგით ოთხეუთხი (კვადრატის) ალაგი დარჩეს, რომელიც 27 თანაბარ ნაწილად უნდა დაიხვიტოს „საკილ“ (მძიმე) ხმოვან სიმების მოსამართა ყურებისათვის).

ტარზე ირბად ხაზი 1 1/2 თითის სიგანით ამოითხაროს, რომელიც ტარს ორ სამეუთხიანს ამსგავსებს. მის ზემო მხარეს ცხრა წვრილი ხარკი მიეკრას და იმდენივე ყურები გაუკეთდეს: ქვემოთ, საცა ხაზი იწყება, სამი ყურა გაუკეთდეს.

მულნის სიმები ოთხნაირი უნდა იყოს: ე. წ. „ჰალ“ (პრემა)—ოთხი ცალი, „მუსანა“ (სეკუნდა) 9 ცალი, „მუსალას“ (ტერცია) 8 ცალი და „ზირა“ (მალა) 18 ცალი, სულ 39 სიმი, რომელნიც სამ-სამი ერთხმად (უნისონ) უნდა მოიმართონ. ტარზე გრძელი ხარკი უნდა გაიღოს, რაზედაც 39 სიმი გაიჭიმება.

მულნის დამკვრელმა მეხუთე სიმიდან დაიწყოს დაკრა.

თარგმანი ოსმალორით ა. ოღანეზაშვილისა.

*) საფედლინ აბდულ მომინ ბენ ფარის ელ ორმევი ბაღდადეგლი—ცნობილია ისტორიაში (სტატეგობდა 13—14 ს), სპარსულ მუსიკის თეორეტიკოსი. ტომით არაბი. იხ. Ринаи. Муз. слов. С. Сафиеддин“.

სოფელთა მხარალ-მოღვაწენი

არშაკ პარუთუნიანი.

(სასცენო მოღვაწეობის 35 წლის იუბილესი გამო)

მამის 31-ს გაიმართა სომეხთა დამსახურებულ მსახიობის არშაკ პარუთუნიანის 35 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე. იგი დაიბადა ტფილისში, სწავლა მიიღო ნერსისიანის სემინარიაში.

ა. პარუთუნიანი ყოველთვის მონაწილეობდა გ. ჩიმიშკიანის, გ. ტერ-ღვთისიანის, ავალიანის, გ. პეტროსიანის და სხ წრეებში. იგი თავის დიდი ნიჭით დღედაღდე იზიდავდა ხალხის ყურადღებას და სიყვარულს.

1897 წ. დაარსა მსახიობთა ამბ „რომლის თავმჯდომარეობაც იყო. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ტფილისის ავკლის სახალხო სახლის სომხურ ჟღასო წარმოადგენებში. გარდა მსახიობობის, ა. პარუთუნიანი არის კარგი მგოსანიც, მისი ლექსების პირველი ტომი გამოვი-

და 1907 წ. როგორც მწიგნობარი მონაწილეობდა ჟმთავრესად ტ. ნახაიანის „ალბურ-ტარაზ“-ში, გრ. არწრუნის „შეპა“-ში, ალ. თარხანიანის „თატრონ“-ში, სიმ. გიულაშვიანის „არაქს“-ში და სხ.

უმჯავარიანსა სომეხთში, საქართველოში, რუსეთში, აზერბაიჯანში და სხ. მისი მთავარი როლებია:—გ. სუნდუკიანის „პეპო“-ში—პეპო და ზიმზიმოვი, „ხათაბალა“-ში—ხამბახოვი, შირვანზადეს „ნამუსისათვის“-ში—სალათეფა, ალ. სუმბათოვ-იუქინის „ლალატში“—სულეიმან ხან, გუცკოვის „სურედლ აქოსტა“-ში—დე-სანტოსი, გ. ფეფაზიანის „კლდე“-ში—გრიგორ ალა და სხ. და სხ.

ა. პარუთუნიანი დღესაც დიდი სიყვარულით ემსახურება სომხურ სცენას და დედა-ენას.

ხურენ აგჩიანი.



უსხოეთის სახელოვნო ცხოვრება

ტოლერის საავტორო მონორაი. გერმანელი დრამატურგის ერნსტ ტოლერის სამმა გამოცემულმა მიმართა რუსეთის სახალხო განათლების კომისარს, რათა მიეცათ მათთვის პონორარი ლინინგრადში დადგმულ ტოლერის პიესისათვის „ეუფენი უბედრია“ („კოქლი“). მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და რუსეთის შორის არ არის დადებული ლიტერატურული კონვენცია, მაინც დააკმაყოფილეს მოთხოვნები, და ტოლერის გადასაცემად გადასდევს 10 პრიც.—ე. ი. 1,400 მან. ამ შემთხვევაში ანგარიში გაუწიეს იმ გარემოებას, რომ ტოლერი ცნობილი კომუნისტია გერმანიაში და ეს შესაძლებელია, რაც ციხეში იტანჯება თავის რწმენისათვის.

შალიაპინის გასტროლი პარიზის დიდ ოპერაში. პარიზის სათეატრო გაზეთი „Comedia“ ასწერს შალიაპინის გამოსვლას პარიზში ბორის გოდუნოვის როლში. საზოგადოება ექუბოდა თურმე, რომ შალიაპინს წინანდელი ხმა არ აღმოაჩნდებოდა, დრო თავის კვალს დაიმჩნევდა მის მღერას. მაგრამ შალიაპინს სცენაზე პირველი გამოჩენისთანავე გაუფანტავს ეს ეჭვი და პარიზს ძველებური დიდებით მოვლენიბა. საზოგადოების აღტაცება არა ჩვეულებრივი ყოფიდა და სკეპტიკოსებიც შერიგებიან უდიდესი მომღერლის გამარჯვებას.

ნიუ იორკის საოპერო სეზონი. ნიუ-იორკის ოპერა უდიდეს ოპერად ითვლება, იგი მოთავსებულია ცნობილ „მეტროპოლიტენში“. წლებიანდელი სეზონი აპრილში დამთავრდა. დაიდგა 175 საოპერო წარმოდგენა და 24 საკვირაო კონცერტი. ვიანერის ოპერები 29-ჯერ, პუჩჩინის 22-ჯერ, ვერდის—21 ჯერ, ჰუნი და მასენ—11, მასკანი და ჯორდანო—10. თითოეულ ოპერებში ყველაზე უფრო მეტი წარმოდგენა რ. კორსაკოვის „ოქროს მამალს“ ხედა—(9). ახალ ოპერებიდან დაიდგა: რიჩჩიტელის „თანამომენი“ და ლაპარას „ხაბანერა“.

მიუნხენის თეატრები. მიუნხენს აქვს ოთხი სახელმწიფო თეატრი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად იმართება წარმოდგენები, ეს თეატრები ყოველთვის სავსეა ხალხით. დრამაში ბილეთი ორჯერ ნაკლები ღირს, ვინემ ოპერაში—1—4 მარკა. მიუნხენში ორი დიდი საზოგადოებაა დაარსებული, რომელშიაც წევრებად ირიცხებიან ყველა ისინი, ვისაც სურს თეატრში სიარული. ამ საზოგადოებების წევრებს დიდი შეღავათი აქვთ ბილეთების ფასის მხრივ,—ყოველ მათგანს თევში ერთხელ მაინც შეუძლია მიხედვს ან დრამაში ან ოპერაში. ამიტომ მუშები და მოსალაშურები თითქმის ერთიანდ შედიან ამ საზოგადოებებში.

თუ რამდენს ინტერესს იწვევს თეატრი მიუნხენის მცხოვრებთა შორის იქიდან სჩანს, რომ ხშირია ზამთრობითაც კინემაში დილით ადრე მორიგეობა სალაროსთან იაფ-ფასიანი ადგილების მისაღებად.

რეპერტუარის მხრივ, შექსპირი ყველაზე უფრო პოპულარულია. შილოეს უქირავს მეორე ადგილი, თუმცა კარლ-მოორი და ვილჰელმ ტელი ახლაც დიდ აღფრთოვანებას იწვევს გერმანელებში. მიმდინარე სეზონში ერთი კვირის განმავლობაში დაიდგა შექსპირის ხუთი სხვა და სხვა პიესა.

გერმანელები შექსპირს „ჩვენს შექსპირს“ უწოდებენ. ხშირად ისმის ჩივილი, რომ შექსპირის გმირების ტრადიციულ გერმანული სტილის აღმსარებლებში ნაკლებად არიან. ამას იმიტაც სხიან, რომ მსახიობები გარდაიქმნენ ზედერპანისეული ტიპის პიესების თამაშის ზეგავლენით, სადაც უმთავრესად ლაპარაკია და არა მოქმედება.

გარდა ამ ორი ავტორისა, შოუც საყვარელ ავტორად ითვლება მიუნხენის თეატრებში. ხშირად იდგება აგრეთვე მარლოუს „ედუარდ II“ და უალდას კომედიებიც. აგრედვე იდგება იბსენი, ანდრეევი, ვედკინდი, ტოლსტი, ლესინგი, კლესტი, ტომას მანნი, გოფმან-სტალი, კაიზერი. ტოლერია, შლოიერი, სოფოკლე, ვერიკიპლე, წნიცილიერი, ჩეხოვი, ჰაუტმანი და სხ. როგორც აქედან სჩანს, მიუნხენის თეატრებში იდგება ყველა ავტორი დაწყებული კლასიკოსებისაგან და გათავებული თანამედროვეებით განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა.

მიუნხენს ევროპის ქალაქებ შორის პირველი ადგილი უქირავს, როგორც თეატრალურ ქალაქს.

ინგლისელი საბჭოთა თეატრების შესახებ. ჰენტ-ლეი კარტერი დანტრეკემბლა ახალი რუსეთის ახალი თეატრით და ჩამოსულა მოსკოვსა და პეტროგრადში მის შესასწავლად. სამშობლოში დაბრუნებისას გამოუქვეყნებია წიგნი, რომელიც მიუღწეოდა იკვლევს საბჭოთა თეატრის მდგომარეობას და მნიშვნელობას. ავტორის აზრით, რუსეთს წარმოუშვია ახალი თეატრი, რომელიც არა ჰკავს სხვა ქვეყნების თეატრებს. იგი ახალი კლასის, პროლეტარიატის თეატრიაო, რომლის მიზანია განსაზღვრული სოციალური ფუნქციის ასრულება. ეს თეატრი—ამბოძს კარტერი—ინსტრუმენტია, რომელიც საესებით გამოხატავს ხალხის სულს, მის აწყობს და მისწრაფებას. რუსული თეატრი ნამდვილი ხალხური თეატრიაო.

კარტერის სიმპატია მემარცხენე-მეიერხოლდის—თეატრის მხარეზეა. მუშათა თეატრის შექმნის იდეა უდიდესი მოვლენაა, მისი აზრით, და იჭვი არა აქვს, რომ რუსეთი შექმნის მას და მავალითს მისცემს ევროპას.

ს ი ზ მ ა რ ი

ოცნებით ვიყავ მარტო
 ზარს მირეკავდი ლამით,—
 შენა გგონია მართობ,—
 მინცუ პატარა წამით?

დრო გაიპარა მთავრით,
 ვეძებდი რჩეულ განძებს,
 შემოდგომაზე ქარი
 პირობას ურჩად მძძვეს.

მოვდივარ შენსკენ დანით,
 რომ გაგიბელო მოკვლა,—
 გალადრე ჩემი ტანი
 და საუკუნე მოკლე.

ლამე იცვლება,—დილით
 მინებით მოდის ფერი,—
 ეს სიზმარია რბილი,
 ლამით დამთვრალი ბერის.

ანრი მიხაილ.



თანამედროვე კულტურა.

ნახტი ე. მახარაძის მიხედვით.

„Ворота очарования“ *)

ეტლი ჩენი მივგაქროლებს აბასთუნის მხატვრულ გზაზე,
 სადაც სუფევს პოეზია, მუსიკა და სილამაზე!
 გული თრთის ტ გული ღელავს, გული მღერის ნახ ტებილ ხმაზე;—
 სიკვილიც კი სიცოცხლეა ამ კურთხეულ ქვეყანაზე!

მიჰქრის ეტლი! და არ ვიცით არც დაღლა და არც მოწყვენა!
 მიჰქრის ეტლი! მივარამ დახეთ, აქ მეეტლებ შეყვენა!
 გზა გათავდა, დაილია, გასასვლელი არსად არი;
 აქეთ-იქით ორი კლდეა სადარაჯოთ წამომდგარი,
 ზღაპრულ ბაყაყ დევებივით მრისხანე და საშინარი!

და ეს კარი, შეუვალი, ლეგენდარულ კოშკის კარი,
 საიდუმლოს არვის უხმელს, შიგ შემსვლილი არვიან არი.

და მე მინდა, დღესვე მინდა ამ კარებში შევიპარო,
 ხელში ვივლო გასაღები და შევლო ის სამყარო,
 სადაც სუფევს ხალხთა შრომა, უზორკილო, სანეტარო,
 და სადაც სჩქეფს ყველასათვის არსებობის ძეგრი წყარო!

20 ივნისი, 1924.
აბასთუმანი.

გ. ქუჩიშვილი.

Там вдали от людей и построек дворца,
 Среди гор и воздушного моря,—
 Как две женских груди охраняют сердца
 От житейской волны—слезя горя!
 Дае огромных скалы приклонившись стоят,
 Заслонив собой образы замка...
 А ворота меж них его свято стоят,
 Как картины волшебная рамка!
 Так и хочется с телом проникнуть туда
 И украсть ключи тайного царства,
 Чтоб скорее открыть мир блаженства труда,
 Жизнь духовного равенства, братства!..

К. Костенко.

Абастуман
1924 г. 21 июня.

*) აქ მოთავსებული რუსული ლექსის ავტორი კ. კოსტენკო რუსეთის ცეკვის ინსტრუმენტორია, შედო კატორღელი, რომელსაც 20 წ. პარტიულ მოღვაწეობისთვის ბილგ ვალუხადეს და ამჟამად აბასთუმანშია ჩვენს პოეტ გ. ქუჩიშვილთან ერთად. ორივე ერთს საგანს უძღვნეს ლექსი და ამიტომ ერთად ვთავსებთ. ორივე ავტორის სურათს შემდეგ ნომერში დავბეჭდებთ.

ტირილი ჩემს კალღზე

მკვდარ გედვიით დაღამდა გათენების ცისკარზე.
 მგონის სულში გაშეფდა შავი ლანდი სამარის.
 ღმერთი სახე მზინჯი აქვითინდა ზეკარზე.
 ფერფლუმბად ანივდა ძველი ციხე თამარის.

წამების ჯვრის განცდები მინდა გულით გუგნილო
 და მსოფლიოს ვესროლო დასეტყვილი ვეშანი.
 ვერ მზიბლავს, თუმც ამყათ თავს დამცქერს არაზინდო,
 ჩემთვის სვედის კუბოა თეთრი აბასთუმანი.

აგობილას აწვალებს ბაცილები თარსული,
 ჩნდება სახე ფარსული, მოდის ობლად მტირალი.
 წყენით გამომზირალი ჩემი ძალი მარსია,
 ვაი, ორგორ მომიკვდა, ბრმა ბედის ხეტიალთ.

სული სტარის ბეჩავი, მწარე ნადველს ემთხვევა,
 დევკარზე მე ძვირფასი, დევკარზე რაც მიყვარდა.
 ოცდასამი მაისის უბედური შემთხვევა
 სამუდამოდ დარჩება მგონის მოწყენის ფარდად.

ვერ დამატებო კვალად მარს, ვეღარ გეამბობრები,
 სახეს ჰორავს ცრემლები, რომ ჩამომდის მღვლოარედ;
 მოგონებებს დაღსკეერი ტანჯვით განაზმობრები
 და სანამ ცოცხალი ვარ, შეხ მივიჩნევ მიძინარედ.

მინდა ხერხი ვილონო, მინდა კვლავ აღვადგინო,
 მინდა სული ჩავბერო, რომ არ დარჩე უყოლოდ;
 სააშვიკო გრძნობების განცდით დაგავგირავკინო,
 ჩემს ოთავო მიგაბარო სიყვარულის სიმბოლოდ.

საკი ებრაელიძე.



ლივ ნერილი პ. მ. საყვარელიძეს

ბეჭდვითი სიტყვა, ჟურნალ-გაზეთი,—მით უმეტეს კომუნისტური, მუშათა და გლეხთა სახელით გამოსული და მისი ხელშედეგული, —რო მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს უნდა ამისახერხებოდეს,—ეს ჩემზედ უკეთესად თუ არა, ნაკლებ მინც თქვენ არ უნდა იცოდეთ.

თქვენს წერილში კი ჩემს წინააღმდეგ ან ყალბი ცნობებია მოყვანილი («მუშა» № 490) ან აზობი—შებრუნებული, (იქვე № 491). ეს გარემოება არა თუ ჩრდილს აყენებს ჩემს განვილი მოქმედებას მშრომელი ხალხის სასიკეთოდ გაწეულს (რომელსაც თქვენ ხშირად იხსენიებთ), არამედ დღევანდელ ჩემს საქმიანობაშიაც, შესაძლოა, გადაემდობოს. ამიტომ **იძულებული ვარ ოფიციალური საბუთებით გაგეპასუხოთ.**

ა) თქვენ არა ერთხელ იხსენიებთ «მშრომელი ხალხის ინსტრუქციით სიტყვის თქმის ნებას», «მშრომელი ხალხის ინტერესებს დაიცავს», «თუ რაა საზარელი და სასარგებლო მშრომელი ხალხისათვის» და სხვ. დღეს, როდესაც მშრომელი ხალხის ხელისუფლება, გლეხებისა და მუშების ბატონობა იმარჯვებს მთელ მსოფლიოში, ამ ლოზუნგების წარა მარა ხმარება დია კარგში ბრახუნის შობაზედ იღვრება სტოვეებს,—ნუ თუ ყველასათვის ნათელი არ არის, რომ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ყოველივე მშრომელი ხალხის ინტერესების დაიცავს უნდა დასტრინალებდეს.

მშრომელი ხალხის სასარგებლო სიტყვას, მუშებისა და გლეხების გაბატონების საქირიობას მე ვკვადებდი და ვანხორცილებდი კიდევ ჯერ კიდევ ყოფილი მეფის ნიკოლოზის ბატონობის დროს პირველ რეგულირებად 900-ან წლებში და მის შემდეგაც, რისთვისაც არა ერთ-ჯის ვიჯექი ციხეში, როგორც პოლიტიკური*).

აქედან დიანახეთ, რომ მე არასოდეს არა გყოვილვარ მშრომელი ხალხის უსარგებლო, რასაც, სხვათა შორის, ამტიკებს ის გაიგებება, რომ ბევრმა რევოლუციონერმა პირველი პოლიტიკური ნათლობა ჩემს წიგნთ-სავაქროში მიიღო... აქ სულს ითქვამდენ, ასე თუ ისე შემდეგი მოღვაწეობისათვის ემზადებოდენ ისეთი თვალსაჩინო მებრძოლები, როგორც იყენებ **მშრომელი ხალხის** მესვეურ-ჭირისუფალნი, უდროოდ დაღუპულნი: ლადო კეცხიველი, სევ. ჯუღელი,**) კამო, დღეს ჯანსაღად მყოფი კობა—სოსო ჯუღალიშვილი-სტალინი და სხ. აი ამის შესახებ რას ვკითხულობთ უნდადარბა დაფარებში:

Справка из дел Тифл. жанд. губ. Управ. (შემოკლებით): «Имешавили Иос. Зах. крестьянин Тиф. губ., книго-торговец, в 1903 г. принимал участие в деятельности местной социал-демократической организации, хранил в магазине литературу, предоставлял помещение своего магазина

для эходох и т. п. В его же магазине предпринято было издание преступных брошюр в легальных обложках. При ликвидации 6-го янв. 1904 г. местной соц.-демокр. организации, Имешавили был подвергнут в порядке положений о госуд. охр. обыску и вследствие обнаружения у него нескольких брошюр, заключен под стражей и привлечен к дознанию при Тиф. жанд. упр., каковое за сидию В. Манифеста 11 августа 1904 г. прекращено с отменой принятой меры пресечения; но освобожден из под стражи 19 марта Иос. Имешавили вошел в связь с группой лиц, занимавшихся в гор. Тифлисе изданием печатных прокламаций и при ликвидации последней 10 авг. был вновь подвергнут обыску... на демонстративных похоронах 31 янв. 1905 г. Паны Гогнашвили (მსხვერპლი თვითმპყრობელობის ჯალათობისა) произнес речь резко противоречиваго направления. 20 фев. в Кашветской церкви произнес речь... (ამ სიტყვის დროს ირველივე შემოკრებულმა ტფილისის მუშებმა სოსო მაკევიანიანმა და სხვ. წითელი დროშა ააფრიალეს, დემონსტრაციით გასწეეს სახაზრო თეატრისკენ; მათ დაჯებიენენ ყახხებე, მეგზონი, პოლიციელები. ბევრს სცემს. სხვათა შორის, ჩემს ძმას, ვანოს, რომელიც ერთი აქტიური მონაწილეთაგანი იყო ამ დემონსტრაციისა, თავი გაუტეხეს). 26 июня вел преступную пропаганду на массовой сходке рабочих на горе св. Давида. Принимал участие в собрании 31 июля пропагандистов в Нахаловке под председательством Арчила Джана-ридзе, на котором обсуждались вопросы о принятии мер против патриотов и принятии в организацию вновь прибывшаго пропагандиста Конова... На всех сходках и митингах выступал в числе первых ораторов, выпуская массу противоречиваго содержания сочинения и пр.». **За Нач. Тиф. Жанд. Упр. Ротмистр Пригора (იხ. ზემოხსენებულ საქმის დ. 40-41).**

ტ. ვან. არც. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მომავლო თავისი «მოწყალე» თვალყური. (იხ. «Решун.» 1918 г. № 175.)

ბ) ბრძანებთ: «ამ ჟურნალის («თეატრი და ცხოვრება»-ს) რედაქტორია იოსებ იმედაშვილი. მას რომ ჰკითხოთ ის მუშაა, სხვები კი მას იცნობენ, როგორც ყოველი მეფის დროინდელ მამასახლისს».

მე არა თუ ხელობით მუშა ვარ,—პირველხანდ სოფლის მეურნე—მევენახე, მეობსტენე, მსხველი, მეკლ-მითხნელი, შემდეგ ზენკალ-ხარკო, რასაც ტ. ვან. მიხეილის (აწ კამოს სახელით) სახელწოდანი სკოლა დამიტკიცებს, მერე—მეკრამიტე—ტალახის მზულავი და კრამიტის მჭრელი, ბოლოს ასოთამაშობიცი (ჩემი უცხო სიტყვათა ლექსიკონი“-ს კარგა დიდი ნაწილი მე ვაწევე, კი ხანს მევე წაყვობდი ჟურ. «თეატრი და ცხოვრება»-ს), არამედ შთანთქმელობითაც წმინდ პაროდებარე ვახლავართ, საყვარია, პირადი შრომით მცხოვრებელი: მამა მყავდე მეზადე, დიდიური მუშა-მოჯამავარე, ძველი დიამ-ბეგობის დროს მთავრობის ურჩობისათვის კახეთიდან ბორჯომის გადახვეცილი (რომელსაც ყრობისას ვენახში ვენმარებოდი, ხან ცხვარსა და ღორში), დღდა—საფარო-

* იხ. ტ. ვ. ვანდარბია სამართლებლის და კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოს სიჭველესიტყვებში «Дело Иосифа Захаревича Имешавили 1903—1911 წ. წ.

**) გამოვეცი მისი მცენარეული შრომა «მ. ლეტერინოს სოციოლოგიად ვაღვი. ევლეობისა და განათლება». ჩემს წიგნთ-სავაქროში მიმოსულია სქონდა დ. შამაიაძეს, რომლის ერთი პირველი საყვარელიცაა წერილთაგანი «სახლური პოეზია და მელ. კულტურის» პირველად მე გამოვეცი სპ. ტელიქსთან ერთად.

тельства, не надо платить податей и давать солдат, что мы будем управляться через своих выборных. Все крестьяне были ему послушны и строго повиновались его распоряжениям. 1905 г. в с. Хашми приехал тиф. уезд. нач. и Иосиф Имедашвили встретил его такою оскорбительною речью, что крестьяне были недовольны поведением Имедашвили, но вместе с тем исполнили приказание Имедашвили не приветствовать уезд. нач-ка при встречах... Имедашвили производил среди крестьян сел. Хашми сбор денег на приобретение оружия (სარევოლიუციო მიზნით) და სხ (ა. დ. 25—26).

Теимураз Михайлович Кокрашвили, 1910 г. თითქმის იმსვე აზენებს და შებდეგ განაგრძობს: «Во главе рев. движ. стоял Имедашвили... проповедывал, что нам не нужно царя, правительства, что мы будем управляться через своих выборных, что в суд правительственный обращаться не надо, а мы будем судиться через своих выборных народных судей» (ა. დ. 80).

Симон Абрамович Шавкашвили, 1910 г. სენტ... თითქმის იმსვე უჩვენებს, რაც ზემოხსენებულ პირთ აზენებს, და ბოლოს დასკვნა: ...и действительно население под влиянием речей Имедашвили не платило налогов 1905—1906 г.г.

Алексей Петров Эпитов (настойтель Мартк. Церк.) 1911 г. фев. 5. ...Иосиф Имедашвили неоднократно приезжал в Марткоби, Норно и др. созывал местных крестьян устраивал митинги, из которых говорила речи противоправительственного содержания... возбуждая крестьян к безнормядкам, неподчинению правительственным властям, необращению к правительственным судьям, а также против священников, что не надо платить им за исполнение духовных „треб.“ и т. п.

Архимандрит Досифей 1910 г. 10-го ноября... Иос. Имедашвили Хаш. старшина находился во главе революционного движения... над всеми старшинами 20 селения Сагар. р. Он проповедывал, что не надо священникам платить за исполнение треб, что не надо устривать поминки... (ა. დ. 37).

Виссарион Давидович Гогохია, нагв. сов. быв. у. н. снг. у.—1910 г. нояб. 10... Старшина Имедашвили, состоял членом Сагареджской соц.-дем. боевой орг. считался главным представителем сел. Хашми. Он принимал самое живое участие во всех делах организации, поставившей своей целью ниспровергнуть существующий строй и порядок Государства. С этой целью он развезжал по другим селениям и вел самую деятельную пропаганду среди населения, не платит никому ничего, не признавать правительственных учреждений и агентов, не обращаться к последним ни с какими жалобами и всякое дело разрешать на месте через выборных самим же населением из среды своей, лич. (ა. დ. 38).

Кн. Фадей Николаевич Челоаев (помещик) 1910 г. февр. 2 бывш. старшина Хашми Иосиф Имедашвили в период времени 1905 по 1907 г. стоял во главе всего революционного движения... настолько его слушались во всем равное, что называли старшиною над старшинами... Результатом его агитации против существующего государственного строя, порядка и властей было то, что мне с семьей и опасения насилия пришлось вовсе бросить свой дом и уехать и переселиться в сел. Мухровань под защиту находившагося там войска. В течение 1905—1907 г., т. е.



გარე-კახელთა დემოკრატია იოსებ იმედაშვილის X თაოსნობით (მის მამასახლო-სობის დროს) გურიიდან ჯარების გამოსყვანის შესახებ ჩამოსული მეფის ნაცვალთან.

(სურათი ამოღებულია 1906 წ. „ცნობ. ფურ.“ სურათებიან დამატებადან № 359).

три года я не получал никакого дохода с своего имениа и такимв безконтрольно и безвозмездно пользовались окрестные крестьяне» (ა. დ. 148—149).

Кн. Иван Давидович Авалов, быв. пристав Саргач. уц. 1911 г. 5 фев... Иосиф Имедашвили по натуре очень способный, с достаточной эрудицией, талантливый оратор, чрезвычайно энергичный... Энергичным вмешательством во внутренние распорядки деревни, беспощадным преследованием деревенских мироедов, коновкрадов и т. вредных элементов, он создал против себя коалицию, которая стала бороться против него доносами, жертвой которой он стал... будучи заболотированным в старшину, не имея никаких средств к жизни, он одно время работал чернорабочим на кирпичном заводе, а затем переехал в Тифлис и занялся литературным трудом.» (ა. დ. 162—163).

ქმარა, აქედანაც ყველა მიზხედება, რომ იმ დროს „რემასახლობისთვის“ არა ყოფილვარ მამასახლობი, არამედ უფრო სხვა მიზანი მქონია. ამ დროს იყო, რომ შევადგინე პირველი ხალხური რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც ყოველგვარ საქმეებს აღდილობრივ იხილავდა, დაეატრინა როგორც სამმართველო, ისევე საადგილ-მამულო, სამოსამართლო და სასულიერო—სულტურულ საქმეებს და ყოფილ მეფის მთავრობასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა*).

*) იხ. სხ შორის, სოც.-დემ. ვაზ. სსიგეი 1905 წ. № 1.

აი, ასეთი ვახლდათ ჩემი „მამასახლისობა“.
 შეიძლება გინტერესებოდეთ, გაიგო, „ყოფილ მეფის“ მიუხედავად როგორ დამაჯილდოვა „მამასახლისობისთვის“?

აი როგორ: 1910 წ. ჯერ ენდარმებმა ჯურღმულში ჩამსვეს, შემდეგ ციხეში, ბოლოს სამხედრო სამართალში მიმცეს, რომელმაც 1911 წ. ნოემბრის 25 შედეგი განაჩენი გამოიტანა:

„Суд признал подсудимаго Имедашвили виновным в том, что он в конце 1905, 1906 и 1907 г. в с. Хашми Тиф. у., состоявшего в то время на военном положении, состоя членом преступного сообщества, именующего себя Российской социал-демократ. рабочей партией, поставившей целью своей деятельности, путем вооруженного возмущения народа и воиск, испровержение существующаго в России, уставленнаго законами основными, образа правления и образования Республики с передачей верховней власти в руки законодательнаго собрания, составленнаго из представителей народа он, подсудимый (Имедашвили), для достижения означенной цели, собирав митинги крестьян и говорил последним, что им не нужно ни Царя, ни Правительства, что крестьяне будут управляться сами, что властей слушать не надо, податей платить не следует, как равно не надо давать солдат, при чем крестьяне воспринимали эту пропаганду и в течение 1905, 1906 г. вносили незначительную часть податей и являлись к отбыванию войсковой повинности в незначительном числе. Деяние это, в котором подсудимаго Имедашвили признан виновным, предум. 1 ч. 102 Угол. Улож.—Кавказский Военно-Окружный Суд постановил: подсудимаго крестьянина Иосифа Имедашвили... по лишению прав состояния, подвергнуть каторге на четыре года... брошюры на грузинском яз. (რომლებიც ჩემი განხრებისა და შეპყრობის დროს წიადეს): „Что надо сделать пролетариату“, „Захват государственной власти“, „Пролетариат и его конечная цель“, „Проф. дв. и волит. пар.“ „Как груз. крест. борются, от. рев. движ. в Грузии“ (და მრ. სხ. напечатать в департ полиции“ (განაჩენი).

ასეთი იყო ჩემი „მამასახლისობა“ და „კონტრ-რევოლუციონერობა“. როგორი იყო ჩემი მეშაობა მწერლობაში?

მაგრამ ამის მოთხრობით თავს წავიარ შევაწყენ მკითხველს,—ეს იცის ყველამ, ვისაც წავიკითხავს ჩემი სხვადასხვა დარგის რევოლუციონერული ნაწერები სხვადასხვა გამოცემებში სხვადასხვა ფსევდონიმით და ცკაცლი ნაშრომში. ერთს ყ ვიტყუე: ყველა ამ ნაწერში ძველი წყობილების დამხობის, მუშათა და გლეხთა გამარჯვების, საერთოდ მშობრელთა დღესასწაულის ძლიერი ძარღვი სცემს მუშუყვეტლად..

ჩემი გაბედული სიტყვა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამომოტა სასარგებლოდ ჯერ კიდევ 1905 წლამდე განისმრდა მუშათა შორის:

„ძირს ხელმწიფე და მოს ტახტი, ჩვენ არ გვინდა უსამართლო, მძობანებელი, გინდ მმართველი თავის ხალხის საზარალო!“

(სიყვ. პალა 1903 წ.)

დ) თქვენ განაგრძობთ: „ბერემა, ალბათ, მსმც იცის, რომ მეორე სახელმწიფო სათათბიროში არჩენების დროს მან ხელი შეუწყო ჩემი თავადაზნაურების წარმომადგენლის თავად ისაკ ბარათაშვილის გადევტატებას“.

ესეც სიმართლეს მოკლებულია. ჯერ ერთი ისიცო ბარათაშვილის არჩენანი მოხდა პირველ სათათბიროს არჩენების დროს, მეორეც.—ისიცო ბარათაშვილიმდროს თავადაზნაურების წარმომადგენელი არ ყოფილა (თავადაზნაურები ცალკე ირჩევიდნენ სახელმწიფო სამკომისი; არამდე სოციალისტ-ფედერალისტების რევოლუციონერი პარტიის წევრი, —და ამ პარტიის წარმომადგენლები ზომ დღეს კომუნისტებთან ერთად თანამშრომობდნენ მწერლობასა და მთავრობაშიც).

რაც შეეხება ბარათაშვილის გადევტატებას, ეს საქმე ასე იყო: პირველ სათათბიროს არჩენების დროს სტე. გუბ. ერთ-ერთი ამომრჩეველთაგანი მეც გახლდა. ნაკახის შედგენის დროს არჩევიდამდე, სხვათა შორის, მე წინადადება შევიტანე, რომ საქართველის საკითხი პრაქტიკულად დასმულიყო. ამ განცხადებად შივა და შივ რეპლავები გამოიწვიან „მამულიშვილი“ და სხვ. ზოგი ამხანავი თემები: თქვენ ვინ დგებთ შივთან სასურველ კანდიდატთა? ლადო დარჩიაშვილი*) და ისიცო ბარათაშვილი მეთქი. ეს იყო და ეს ჩემი „ხელის შეწყობა“ და თუ ბარათაშვილი მართლა მე გამიღებტატებია, ახლა არ ვნანობ, რადან ქართველ დევტატებთან პირველი იყო ბარათაშვილი, რომელმაც მოითხოვა საქართველის შესახებლ უფლებათა აღდგენა, ფედერატულ წყობილებაში შემოღება, რომელიც სამტათა ხელისუფლებამ საჯაროდ ოფიციალურად აღიარა,—და ვინც ამის წინააღმდეგ წავა, ვინც ამ კონსტიტუციის ეწერება—სიერს უჩინებდნენ**).

ვ) არა ჰყარია მის ეწერალში? ო? —კითხულობთ. ამ კითხვაზე უწერალის ხანგრძლივი არსებობა იძლევა პასუხს. დაარსებულია 1910 წ. და ეს მეთოთხმეტე წელიწადი გამოდის ყველგვარი სუხბიდიის გარეშე, მხოლოდ საზოგადოების თანაგრძობით. ალბად შივ რადლაცა ჰყარია, რომ მკითხველი ასე სათუთად უფლის ვარწმუნებთ, ჩემი მკითხველი უმთავრესად მდაბიო ხალხია.

ვ) არა ვახს ადგია თეატრის საკითხში?

უწერალის თითოეული ნომერი ამას გარკვევით ჩასჩინებდა ყველას, ვისაც თვლი ხდვად აქვს ყური სმენად,—უწერალმა გარკვევით აღიარა: ხალხურ-ეროვნულ თეატრს საერთაშორისო მისწრაფებით ამტყველებულს, ხელოვნებას ცხოვრებისთვის, თეატრს ნატურალისტურ-რეალისტურს, ხალხის ყოფა-ცხოვრების ამსახავს, პოლტარიატის სულისკვეთებათა გამოშკლავნებელს, მის მიზანთა და არსებულ ცხოვრების უყუღმარობის გარკვევით მაჩვენებელს, უკეთესი იდეალების დამბატყვლს..

*) რომელიც თუნგრ არ ყოფილიყო ამომრჩეველში, რაც მეორე შედეგად, მისი გადევტატება კი მწნატრებოდა, ვანაკურობის მას შემდეგ, რაცა თვისი რწოველი მწომში გამოაშკარდა.

**) არჩევნებას შემდეგ პირადად დარტრესებულმა პარტამეც და გუნდი დამიშინეს, მიწე სიან გამასწორეს, მაგრამ სომართლე ჩემსეც იყო—ეს დღეს გამოჩნდა.



წ) „ჩრატომ ჰგონია იოსებ იმედაშვილს, რომ პროლეტარიატის მისი დაცვა ესპერანოა“^{*)}, ბრძანებთ.

პროლეტარიატს არ სჭირა ჩემი დაცვა,—მე მხოლოდ ერთი მსურს: როგორც დღემდე, ადამის შემდეგაც პროლეტარიატთან ვიყო და ვითარცა ექვთიმედ მთელი პროლეტარიატის (ქართველი მუშა-გლეხ—აღლო ოჯახის მფარველი ხალხის) გათავისებობებისა და წელში გამაგრების შემდეგინადაც ვეხმარებოდი, კვლავაც ვეხმარებოდი. და რომ დე მუდამ მას ვეხმარებოდი, ამის ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებები, რომ ჯერ კიდევ 33 წ. წინად ვსცემდი ჩემთვისვე უფროსს, რომლის ირავლად თავს იკავებდა მუშა მწერლები, იგივე პროლეტარები^{*)}. მე გგონია პროლეტარიატის მისი წრისა და გამოსული დღეობის შვილი უკეთ დაიცავს, ვინც სხვა წრისთვის, რა გინდ დიდი ინტელექტუალური „კეთილშობილი“ შთამომავლობისაც არ უნდა იყოს იგი და ყოველდღე სიტყვის მასალად ენის წვერზე „მუშა“, „პროლეტარიატი“ ეცემა.

ყოველ შემთხვევაში, მეც ერთი მათგანი ვახლავართ, რომელმაც პროლეტარიატის ძღვენად მისი გამაგრება ვუწოდებ, მისი გამაგრების აუცილებლობა დასახელებ კიდევ ყოფ. მეფის წინაშე რეაქციის დროს 18 წ. წინად^{**)}.

თ) „ვის სჭირდება ასეთი უფრანალი, რომელი მკითხველისათვის არის ის გამოსაღები და სპორო“ ყოველ შემთხვევაში არა მუშებისათვის და მით უმეტეს გლეხებისათვის, თუმცა იმედაშვილი და მისი უფრანალი ფიცას სდებს მუშებისა და გლეხების ერთგულებასზე.

თუ ვისა სჭირდება ეს უფრანალი, ზევით მოვიხსენიე; ალბათ სჭირდება ვისმის, მკითხველსაც ჰყავს, რომ გამოიღოს. ყოველ შემთხვევაში ჩემს უფრანალს ძალით არ ვაგარკიცებ, ხათრით არავის მიიქვს. მუშებისა და გლეხების წინაშე ფიცის დადებაც არა სჭირდება, ვინაიდან თვით მუშა და გლეხი ვარ, იმათებრად მოახრე მწერალ-მოლაპარაკე.

ჩემი გლეხი და მუშა კარგად ეცნობს იოსებ იმედაშვილს და მის უფრანალს—ესენი არიან მისი არა თუ მკითხველები, თანამშრომლებიც. ამიტომ გლეხთა და მუშათა ერთგულებებზე იოსებ იმედაშვილს ფიცა არ სჭირდება,—ეს ფიცა იმას დასჭირდება, ვინც ძველი აზნაურთაგანია, წინად გლეხების ნაყოფითი ირჩინდა თავს, შემდეგ კი, როცა ახალმა სიამ დააპტერა, გლეხებსა და მუშებს ფიცება, თქვენი ერთგული ვართ.

ი) „თუ ეს ასეა, მაშინ (ე. ი. მე), ალბათ საბჭოთა ხელისუფლების მომხრეები უნდა ვეფულოთ“^{*)}.

საოკრაინა ასეთი კითხვა: ვერც ერთი, საბჭოთა ხელისუფლება არ იყო, რომ მიიღოს ჩემის არსებით, პირველ რევოლუციურადვე კი, მუშებისა და გლეხების ხელისუფლების შეპოვებას ვცდილობდი, ვეძაღვებდი, რამდენადც შექმნილი ვანხრაციელები კიდევ (იხ. ამის შესახებ ზემოაღნიშნულები), ხოლო დღეს როცა ვხედავ, რომ კომუნისტური სტილიდან ხელი შეუწყონ ქართული კულტურის აღვივებას, ვანა მე გავრემ მოთვალესიერე მაყურებლად დაერჩები, გულს-ხელს დავიკრებ?—არა, მეც მინდა ჩემი წულობის შევინარე ამ საქმეში, როგორც წინად, ვანვლი 33 წლის განმავლობაში.

მე მინდა, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა მთავრობა უშთავრესად ეხმარებოდეს საქართველოს სოფლისა და მუშათა ხალხურ თვითრეგის, ხალხურ მწიგნობრობასა და მწერალთა... მის

მიზანშეწონილად აღორძინებას, რომ საქართველოში ქართული ბელნიერობდეს...

მე მინდა, რომ ჩემი ქვეყანა და მისი მშრომელი ხალხი სხვებთან ერთად შევხედეს, აქ არაეინ იჩაგრებოდეს, ხელოვნების და კულტურის შუქი ყველას თანასწორი ეფენიებოდეს...

ი) ეფენი და დანაშაულია?

კ) თქვენ რაცდენიმე ადგილი ამოვიგვეღვიათ ჩემი ორ თანამშრომლის ნაწერებიდან და რაღასაც მისაყურებოდათ. ამ ნიარად, ყოველი ავტორის გამტკუნება შეიძლება. სხენებული მწერალი ქალები კი დღევანდელი თეატრის ვითარებას ახასიათებდენ ერთი თანამედროვე საზოგადოების ერთი ნაწილის სულიკვეთების გამოძლევენებით, მეორე—ისტორიის მოთხრობით, თუ როგორ იყო წარსულში ჩემი თეატრი. ეს თქვენი საქმეა, როგორ გაიკეთებ,—მე კი გგონია მთავლურში არა ნაკლებ გონიერი და შორსდასჭრეტი ხალხი, არა ნაკლებ ფხიზელი დარაჯე ზის არსებული ხელოვნულებსა. ვინოდ თქვენ მიერ უდიდრად მოხსენიებულ „მანდილონისს“ ერთი ყვიფინის შესახებ მოგაქენებთ, რომ ეს ის ქართველი ქალია, რომელმაც 20-25 წლის წინად პირველმა სთარგუნა შესანიშნავი რომანი „სპარტაკი“, რომლის კითხვითაც არა ერთი და არა ახელს-ათასეული ქართველი მუშა-სპარტაკალი აღიზნება, დიარაზმა და თვითმპყრობეობას შეებრძოლა. ეს ყველა ქართველმა მუშამ იცის დილი ეს ის მანდილონისა, რომელსაც არავისზე ნაკლებ დღეაური არ მოქმედის ქართველი მუშებისა და გლეხების გათვითცნობიერების საქმეში.

ერთს ვერ მივხვდარავარ, ამ ორ მწერალს რომ ასახელებთ, მზედელეობები რათ გამოუშვით, სხვა ყოველდღე დამსახურებულ, მარსკანდ მწერლებს რომ თავი დაეანებოთ, ჩემი ისეთი თანამშრომლები—რაცდენ ქალამე და მიხა ჩოდრისშვილი,—რომელნიც საქართველოს სოც დემ. და განსაკუთრებით საქართველოს ბოლშევიკ-კომუნისტური პარტიის მამამთავართანაა აიანი? და ვანა ესენი უდიდის კაცთან თანამშრომლობას იკადრებენ?

რათ ივიწყებთ, რომ: ქნა მართლისა სამართლისა, ხესა შვიქმს ხელსა ნელდა!

მეცნიერობაში არავის გედავებთ, ხოლო მწერომელი ხალხის, პროლეტარიატის სამსახურში, სამშობლო ქვეყნის სიყვარულსა და მისთვის თავდადებაში, ხელოვნების ტრედიციალსა და რევოლუციონერობაში-კი ნება მიბძმეთ გაგვეკლოთ.

რათ იკადრებ ჩემი პიროვნების დამცირება მოგონილი და დღევანდის არა საყურადღებო ამბების მოთხრობით? თქვენ ეგებ მოგწონთ ეს. მე კი ვუწყებთ თავს როგორცა იძულებული ვხვდები უფრანლის ფურცელი ჩემი ბიოგრაფიის გადმოცემაში მოვანდომო. თქვენ მიიძულებთ და მოგმართათ პრუდონის სიტყვით, რომლისავე ამ ტინერს მამართა: მე მთელი საზოგადოების წინაშე გადმოვალდებ ჩემი ცხოვრების ისტორიას...

მე გრძელ კანად მომდევნ გლეხურ-მუშური, ნამდვილი პროლეტარული შთამომავლობა და რევოლუციონერი-მწიგნობარი წარსული, მშრომელი ხალხის ემბაში ამოვლებდენი გრძნობა, ფიქრი, რწმენა,—მის საკეთილდღეოდ მუდმივი მუშაობა საკუთარი ძალაონით,—
თქვენი?

თქვენ შეიძლება დიდი კაცო ბრძანდებით, მაგრამ ეს ნებას არ გაძლევთ დაუშვას ბრძანდებოდა ქვა-ვანდა დაუშინით ისეთ პატარა მუშას, რომელსაც მთელი თავისი ძალ-ღონე შედღებისადაცვარად შეუწირავს ქართველი მშრომელი ხალხის გამოუზიზღებისათვის.

იოსებ იმედაშვილი.

*) იხ. სს. შორის „კომ.“ № 1000, აღ. „მაგიაშვილის მოკლებანი, სადაც ეს ამბავი გავრითაა მოხსენებლი.

**) იხ. სს. შორის ვანა. „გლეხა“ 1906 წ. 26 ნომის №.

ივ. ნინოშვილი

(გაგრძელება. იხ. „თ“ და ც.„ № 12 *)

როგორც წინამორბედი და წინაწარმეტყველი.

ზემოთ იტყვი, რომ ქ. ჩხიტივი ნაადრევად თვლიდა „უცნაური სენის“ სიუჟეტს. ამ შიშვე ვაჟილი მართალი იყო, ნაადრევი იყო სიუჟეტები: „ქრისტიანი“-ს, „სიმონა“-ს და „ჯანყი გურიისში“-ს და სხ. მაგრამ სწორედ ამაში არის ენატრეს ნიჭი, შემოქმედება და შორისმკერეტობა... მან წინდაწინ იწინაწინამეტყველა: ათი და ოცი წლის შემდეგ ასე და ასე შეიკვლება ჩვენი ცხოვრება და ახლა თუ ერთი ქრისტიანი, გურიიდან გაქცეული ტფილისში, 10 და 20 წლის შემდეგ 1000 იქნებოდა...

სახელმწიფარილოთ და სამპროგრამოთ არ დავეტოვა ჩვენ ახლო ხანში მოსალოდნელი რევოლუციისათვის რომანი „ჯანყი გურიისში“ („საქმუხარო შედეგი“ ქუთაისი 1905 წ. რევოლუციის შემდეგ რომ დაბეჭდილიყო, ვის დააჯერებდით თქვენ, ის რევოლუციის წინ, 10 წ. ადრეა დაწერილი?..

ვიტყობ, ენატრემ ძალიან ადრე გაითვალისწინა: 20—30 წ. შემდეგ რამდენი „ქრისტიანი“ იქნებოდა ტფილისში სოფლიან და გლეხურად, რამდენი „უცნაური სენით“ შეპყრობილი და ყველა ამას ის ადრე წინაწინამეტყველებოდა, რომ საწვავლოდ მასზე ეფუძრა, რომ ხალხი უფრო და მის წინააღმდეგ ბრძოლა ეფუძრა...

ენატრე უკანასკნელი გამოთხოვება.
1898 წ. ოქტომბერი უნდა ყოფილიყო, დილით 10 საათზე, ეტლი მოადა ჩემს ბინას, ოზურგეთში. ვნახეთ ენატრე იყო. მისალმენი შემდეგ, როცა სახეზე და-

*) პირველ წერილში (№ 12) შეცდომით დაბეჭდილია: „აგული“-უნდა გასწორდეს „აგული“-ს. № 3 გამოცემებში, უნდა გასწორდეს: „ვერ გეთანხმები“.

ქ. თ.

(შემდეგი იქნება)

წერილი „წარსული და ცხოვრება“-ს ჩვენსკის მიხედვით

პატრიარქის რედაქტორი!
იხის შემდეგ, რაც მოხდა ქართველ მსახიობთა კულტურულ კავშირის რღვევა, კორპორაცია „დურუგის“ გამოყოფით, საზოგადოებაში შეიქმნა მიოქმა-მიოქმა, თუ ვის მხარეზეა სახალხო თეატრის ქართული დრამა „ჯეირანი“-ს კორპორაციის სახით, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ კავშირის ყრობობაზე; ამიტომ ვთხოვთ დავერთოთ ნება, რომ საზოგადოებას ვაუწყოთ შემდეგი:

კორპორაცია „ჯეირანი“, რომელმაც იმა წლის თებერვლის 15-ს სთქვა თავისი მარტვი სიტყვა და აღიბა მარწამის მუშურ-ხალხური თეატრის და იწი მსახიობის როგორც მოქალაქის, **მოდავნათა** ვერც ერთ მხარეს ვერ მიეკვდლება, რადგან საქართველოს სინამდვილეში (გარდა რუსთველის და ქუთაისის თეატრებისა) ყველა ადგილობრივი და პროვინციის თეატრი-აუღიბებელი, უღირსად მუშურ-ხალხურია და თავისი ყოფით ვერ გაპყვება ვერც კადემიურობას, ვერც ძიებას თეატრალურ ფორმების დარგში. აქედან-კი ცხადია, რომ ამ თეატრალურ ფორმირების მამამთავარი, ტფილისის სახალხო თეატრი, მიმცემი ტონისა პერიფერიებში, აწარმოებდა და აწარმოებს უმთავრესად კლასიკურ-რეალურ რეპერტუარს, ეწეოდა და გასწევს მხატვრულ ავტორთა-პროდავანდას ხალხურ-მუშურ ფართე მასებში, იმ დარგებში და კომედებებში, რომელც ფარდასა ხდის—ამუშურებს პოლიტიკურ-კანონმდებურ და წოდებრივ ურთი-ერთობაზე აღნიშნულ დრამატულ თუ კომიკურ განცდა ყოფას და ჟამსა-კი ამოხიბება-აჯანყებას, ჩამოყალიბებულს ხელოვნ-

ვაკვირებ, წინანდელზე ბევრად დასუსტებულს მხარეზეა მაგრამ მისი სიკეთის დღებში თუ დათვლილი იყო, ამის დაჯერება არ მინდოდა!.. სილო მადიანათ ჰამა დე-დენებზე, რომელიც ვატყებელი იყო ენატრეს ნაწერების კითხვით და ენატრესთან ლაპარაკს აღარაფერი ირჩია, მზარულად საუბრობდა ენატრეს.

ოთხი საათი ენატრედა, მზარული და წიგნის მათა ზიანი წაგვიდით. ვიყრებო და ვაგვამხდით რაც ზამთრისათვის საოჯახოთ ფართილეული და ხორაგები სჭირდა. სავაწროზე წიგნების პონორის ანგარიში სრულით და სავამამაც მთავარი, აი, სწორით ამ დროს, როცა სიკეთემ შემოპკრა, ენატრეს ზმირ-ზმირათ ხელებმა დააწყებია!

მიხვია ბინაზე წაესულიყავით. წაგვიდით მაშინვე, რვე დავაღვივებთ, ცოტა კიდევ ვივამხდით და, რაკი ენატრესთვის დასვენება იყო საჭირო, დედა ჩემმა ზალაში გაუშალა ქვეშაგები, მაგრამ ენატრე არ დათანხმდა, უფრო მოშორებდა ირჩია ოთახი მოსაყრებლად. აღმა იმითომ, რომ ხელოთ არ შევიწყებინეთ.

დილით ნატანებისკენ მატარებლისათვის უნდა ჩავსწრა და ჩატარება. გამომშვიდობების დროს ყველას „სამუდამოთ გეთხოვებითა“ ვითხოვა და წაგვიდა! ჩვენ არ გვინდოდა ეს სიტყვები გამართლებულიყო, მაგრამ სამუშაოთ, ვახალხურზე, როცა ყოველივე ხარობდა, ბუნება საპატარძლოდ ირთებოდა, ყოველივე გაშვებულ-გაფორჩქენილყო, ფრინველების სამაშორი გალობდა და შიქოკი ქვეყნისა ტბობილი და ნეტარების ჰუნდა, ხალხის გულის მესალოდუმენ და წინსწარმეტყველმა, სწორით ამ დროს, 29 აპრილს, თვალნიბისა სამუდამოთ დახუჭა შორისმკერეტული გათენებ, ძვირფასი ამხანაგის, სილინსტრო ჯიბლამის მკვლელებზე..

ქ. თავართლიაძე.

ბის რეალურ ჩარჩოებში, მისისათვის მისაწვლად ფორმებში.

სახალხო თეატრების ხაზი მარტივია—და, რა თქმა უნდა, ვერ შეითვისებდა ყოველ „საბავად-ზნაურთა თეატრის ტრადიციებს წარსულში და ამავე თეატრის აკადემიურობას აწყყოში; ასე იყო წინით, ასევე ეხლაც; ძიებით თეატრი-კი „დურუგის“-ს სახით, მიგვანია ერთიანი რევოლიუციად სათავართ ასპარეზზე „რუსთველის“ თეატრის მასშტაბით, ვარლვევით, დროთა დენისა გამო დაჯერებულ, მაგრამ რევოლუციის მიერ ლარყოფილი ტენდენციების და ძიებათ ახალი გზა ფორმის იფივე რუსთველის თეატრის რაკლში, ვინაიდან ვერც ეს ძიება გაიტყვებს სახალხო თეატრებს და მის მუშა, მშობელ ინტელიგენტ მსახიობთ. ესენი თავისი არსებით ეკუთვნიან იმ კლასს, რომელიც ეძებს და შეითვისებს ყოველივე **ფორმას-ფორმისთვის** კი არა, **არამედ აზრის-მინარხის განამშვენიერებლად**, რადგან მშობელთ სამყარო იჩენებს ყველაფერს, მიწაზე თავის ყოველ მისამარებლად—გასამარეველად და თეატრსაც ეწაფვის იმდენად, რამდენათაც ექნებათ თავის ყოფი-ცხოვრებისა ავ-ჯერარობას და ეძებს გუნებს აღოქმის ქვეყნისკენ—სოციალიზმისკენ თეატრით გულისხმობს ლამაზს წვედილიში..

რაც შეეება ქართველ მსახიობთა კულტურულ კავშირს.—„ჯეირანი“-ს კორპორაცია ვერც აქ შეეება; რადგან რუსთველიანთა ხელოვნების მუშაგათა კავშირი თავის კულტურულ განყოფილებით და აქეთ არის მიქცეული „ჯეირანი“-ს ყურადღებაც.

კორპორაცია „ჯეირანი“-ს პრეზიდიუმი.
ივლ. მ.

ჰანდაკება

(გაგრძელება. იხ. ათ. დეა. № 13 (16)).

ღევ (სიტყვას გააწყვეტინებს). თავის ტკივილი აწუხებს. ვადაეკით მის აღმატებულებას, რომ გამოჩენილი მოქანდაკე, მობრძანებელი ზღვისა და ხმელეთისა, ქორწილმა. სიცოცხლეს ავავრავინებს, სიცოცხლეს. მაყრე-ბაღ ქარიშხალი და ძარღვე დაქმნილი ადამიანი შავს-სთო, ტრუბე გამხმარი ადამიანი. (იციანს) თუ ბატონ კომერსანტსა სურს, მობრძანდეს, ჩვენ დღესასწაულს დავსწროს. თავისი გამშრალი ტვინი კი ავტოილებლად თავის ქალად ამოიღოს და სადღე პორტულეში შეინახოს, თორემ ჭიფის დროს შეიძლება ჩემი მაყრები წაითამაზდნენ და მოსტაცონ. (იციანს) ტვინ ამოღებული კომერსანტი კი რა კომერსანტი!

არჩ. მე მინაც არ იცი, რა პასუხი გავცე კომერსანტს, რომელიც ამ ყამად თქვენსაა და პასუხს ელის.

ღევ. კომერსანტი ყველგან არის, აქაც, იქაც, ყოველ კუნჭულში, თავისი განხმარი ფეხებით დაძვრება და ყველა ქუჩურულანსა და იცქირება. ცოლ მოაწუბებს ხალხს ჰგონია, დედამიწა გველაშაპზე სდგასო. ტყუილია, არ დაუჯეროთ, დედამიწა კომერსანტზე სდგას.

არჩ. მე უფლება არა მაქვს ძალა დაგატანოთ ან გასწავლოთ, როგორ მოიქცეთ. მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ: კომერსანტი მე გავაცანით. ავანსის მიღებით თქვენს თავზე განსაზღვრული ვალდებულება დაიდოთ. ვთხოვთ უხერხული მდგომარეობიდან დამხსნათ. ეს ერთი ბიუსტი დაამთავრეთ და მეგრე როგორც ვენებოთ, ისე მიექვეით. ბიუსტი თითქმის დამთავრებულია. ნამდვილი პორტრეტია, დაიხ, ზედ გამოჭრილი პორტრეტია!

ღევ. (აღელვებული სიტყვას გააწყვეტინებს) პორტრეტი ვინ მოვაგებოთ, რომ იმ ქანდაკება კომერსანტის პორტრეტია! (ბიუსტიდან მივა) მობრძანდით, კარგად დააქტრდით. ეს ქანდაკება იმ ვაჟბატონის გამოხატულებაა, თქვენ რომ გავაცანით? (ცხვირია მარტო კომერსანტისა, ბატონოა, ცხვირი! ყურებზე იმისია! შეიძლება ეს დიდი დანაკლებული შუბლიც კომერსანტისა იყოს. მაგრამ ქანდაკება კი კომერსანტი არ არის. მე ვარ, მე.. აბა, დააქტრდით, კარგად დააქტრდით! იციანს. სტირია და იციანს) კომერსანტი სურდა ოპტიმისტი გამოუსულიყო, ქანდაკებაც იციანს. აბა, უფურთე თუ არ იციანს, მაგრამ ქანდაკება მაინც სტირის, სტირის იმიტომ, რომ მე ვარ დააქტრდით, კარგად დააქტრდით, სტირია და იციანს. (არჩლს) გადაეკით თქვენს მეგობარს, რომ ლევან ორბელის სახელოსნოში უცნაური ამბავი მოხდა: მოქანდაკეს სული კომერსანტის ბიუსტში ჩაძვრა და, რადგანაც კომერსანტის შეუძლიან ეს თავისი წმინდა ხელობის პროფანაციად ჩასთვლიან, მოქანდაკემ გადასწყვიტა, ბიუსტი გლაოში დაამწყვდიდოს და სამხეცეთში ვაგზავნოს. სწორედ ასე ვადაეკით, ნუ შეგრცხვებთ.

არჩ. მაგნარი პასუხს კომერსანტს ვერ ვაკადრებ. ის ჩვენი სტუმარია, დაიხ, საპატიო სტუმარი, რომელმაც კეთილის განზრახვით მოიხურვა ბიუსტის დადგენა! დახმარების აღმოჩენა უნდოდა. არა, ბატონო ლევან, კომერსანტს მაგნარი პასუხს ვერ ვაკადრებ.

ღევ. მაშ, მოახსენეთ, რომ ქანდაკებას შუა ქარმა დატეხარ, ვაცივდა და ვარდაიცავლა.

არჩ. (მცირე პაუზის შემდეგ) ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩამავენეთ. იძულებული ვხდები.. თქვენს მეუღლეს მოვლავარაკო. ვიცი, თქვენი საქციელი არ მიეწონება, მაგრამ რას იზამთ? კომერსანტს ხელცარიელს ვერ გავისტუმრებთ. ნახვადის. ბოდიშს ვიხდი შეწყუბისთვის (ტალის. გარედან ისმის არჩილის ღიღინა: „ტრა-ლა-ლა, ტრუ ლუ ლუ, ტრა-ლა-ლა, ტრუ-ლუ ლუ“).

ღევარ. (წამოდგება და ქუდს აიღებს) უჰ, როგორ დამოღალა მეგ ოჯახ ქორმა! ნეტავი შენს ვაძლებას!

ღევ. (ღიმილით) რას იზამ, ჩემო ლუარსაბ! ჩემი ოჯახის უფასო დამატება. მიდიხარ კიდევ?

ღევარ. (საათს დახეობთ, დროა. მატარებელს ევლარ მიუსწრებ. გგონია პირველ საათზე ვაღის.

ღევ. ნომ არ მიწყურები, საქმეს რომ მოვაცდინებ? შენს იქით გზა არა მაქვს, ჩემო ლუარსაბ. ვენახის შესახებ მაინც მოიფიქრე. მენახება, მაგრამ, ხომ იცი, სხვა ნაირად ვერ მოვიქცევი. მოელაპარაკე და, თუ ქუთაში დაუფდეს, გამოვიდ. ცოტა კიდევ (კოტალა დამჩრა, ქანდაკება მალე დასრულდება. (კარებში კაყენი ისმის).

ღევარ. (მშვიდობით, მშვიდობით!

ღევ. (კარებისკენ) მობრძანდით!

ელენ. (შეიშობს. კარებში ლუარსაბს შეხედება) ვის ვხედავ! ლუარსაბ! როდის ჩამოხვედით!

ღევარ. დიღით ჩამოვედი და აი, ეხლა მივდივარ.

ელენ. (ვეკლუცად) ვერგ ჩქარა რად მიდიხართ. დარჩით, ერთი ორი დღე კიდევ დარჩით.

ღევარ. საუბედურად, ვერ შემიძლიან. მალე ჩამავალ. ორი სამი დღის შემდეგ, ალბად, აქ ვიქნები. (საათს დახედავს) მიგვიანდება, მშვიდობით. (საჩქაროდ გადის პაუზა).

ღევ. როგორ მოუთმენლად გელოდი. ისევ მარტო ვართ. მე, შენ და ჩვენი ღვთაება. ქანდაკება ელის დასრულებას. რალს უყვით? შირიმის უკან ყველაფერი მზად არის, შეგძლიან გაიხადო. (კარებთან მივა და გასაღები დამატკეპავს) აღბრავინ შეგვაწუხებს).

ელენ. დღეს როგორღაც გუნებაზე არა ვარ. დადლოლობამ შეიძლება სასურველი გამომეტყველება დამიკარგა. შენ როგორ ფიქრობ?

ღევ. (აღტაცებული უცქერის) სიცოცხლე არასოდეს ისე ძლიერად არ ამეტყველებულა შენს ლამაზ თვალებში, როგორც დღეს.

ელენ. (ღივანზე დადგება) მაშ, დადლოლობა რადა ვგრძნობ? თითქმის ძარღვეში სისხლის მოძრაობა შეჩერდა და გულშიც ფთქევა შესწყვიტაო.

ღევ. ალბად მთელი შენი სასიცოცხლო ძალა თვლებში მოგროვილა (მიუხელოვდება და ორივე ხელს დაუჭერს) და ხელგებში... პატარა ხელების თითის წვერებში.

ელენ. დაეკეპ, ჩემს ვეჯრდით დაეკეპ.

ღევ. (დაჯდება) ქანდაკება ელდის, ელენე! იგი დასრულებას ელის.

ელენ. (ღივანს მიყრდნობა. სიგურეს გასცქერის) ქანდაკება იციანს. მას შეუძლიან ცდა. ჯერ იგი მაინც უბრალო თხზაა, ცივი თხზა.

ღევ. (ღტაცებით) არა, ელენე! ქანდაკება უკვე ცოცხალია. ქალწულის ფეხთა ქვეშ შექნალ გამოლართული ადამიანის დაქმნულ ძარღვეში ჩემი სისხლი გრავლება, სისხლი ჩემი გოლისა. ქალწულის გულმკერდში კი

შენი უძირო სიცოცხლე შთანერგოლი, სითბო შენი სხეულისა.

ელენ. (სევდიანად) მაგრამ კანდაკება მაინც მოკვდება.

ლევ. (ამაყად) არასოდეს! იგი უკვდავებაა. ისეთივე უკვდავება, როგორც შენს მშვენიერს სხეულში ამეტყველებული სიცოცხლე. შენ ხომ სიცოცხლე ხარ!

ელენ. სიცოცხლე, რომელიც გინდა ქანდაკებას შთაბერო.

ლევ. და შეეძენა უკვდავი სიცოცხლე.

ელენ. ჩემს გვაზე?

ლევ. (გაოცებული, თითქოს ეხლა ერკვევა ფიქრებიდანაო) რა სიტყვი, ელენე, რა სიტყვი?

ელენ. ვიხუმერ. ქანდაკება არ მოკვდება. ის გაციოცხლებდა, მე კი მოვკვდები.

ლევ. არასოდეს! შენ უკვდავებასა ჰპოვებ ჩემს უკვდავ ქვნილებაში. შენი თლილი მკლავი, შენი ბროლივით თითები! მუდამ გაწვდნელი იქნება ქალწულის ფეხთა ქვეშ უშუალოდ გაშლართული ადამიანისკენ.

ელენ. (თვალებს დახუჭავს) კნარა, ლევან!

ლევ. (გაოცებული) რა დაგემართა?

ელენ. ქალწული ამაყადა სივსება და ვნებით დასნეულებულ ადამიანს ზევიდან დასცქერის.

ლევ. როგორც ღმერთი უკვდავი სიცოცხლისა.

ელენ. (მცირე პაუზის შემდეგ) ღმერთი რომ დასუსტდები? ადამიანის ათირობებულმა, ვნებით დამცდარმა ტურჩებმა ღმერთიც რომ აათიროლოს?

ლევ. ელენე!

ელენ. მაშინ რაღას იტყვი?

ლევ. ელენე! არ მესმის, რას მეუბნები. მეშინიან გავიგო, ფიქრიც კი მეშინიან.

ელენ. ქალწულის ფეხთა ქვეშ დაცემულ ადამიანს კი არ ეშინიან. ცხოვრების გრიტე გზაზე ხეტილის დროს დაიღალა; დაიქანცა, მაგრამ მაინც მიალწია, მიალწია და მორჩილებით მის წინ დაიჩოქა.

ლევ. (აღვლევებული) გონება მებნევა. მეშინიან სიზმარი არ იყოს, ავადმყოფი ადამიანის ბოდა (მთუახლოვდება) სინამდვილე თუ იცნება. (ხელს დაუქერს და თვალეშში ჩააშტერდება).

ელენ. სიცოცხლე.

ლევ. შენს მშვენიერს, ცასავით ლურჯ თვალეშში ცეცხლად ანთებული სიცოცხლე?

ელენ. (თავს გაინთავისუფლებს) ჩემთან მოდი, აი აქ, დივანზე, დაჯექი.

ლევ. (დივანის წინ გაშლილ ხალიჩაზე წამოწვება, ელენეს მუხლებს დაეყრდნობა და ხელეშს დაუქერს) ელენე!

ელენ. (თმაზე ხელს გადაუსვამს) თმა გაგჭალარაგები. აი აქაც თეთრი თმაა, აი აქაც.

ლევ. (მკლავებში ხელს წააგებებს და თავისკენ მიიზიდება) ელენე! (ხელეშს უკვებობს).

ელენ. (ბეკლუკის ღიმილით თავს მოარიდებს) ქალწული ამაყა.

ლევ. ქალწულმა უკვე თავისი ამაყი თავი დახარა.

ელენ. ჯერ არა, იგი ჯერ ისევ შორიულია და მიუწოდებელი.

ლევ. მაგრამ ამასთანვე ერთად მახლობელი. სიახლოვე ჰფეთქავს შენს ათირობებულ მკლავებში. მედიდურად აღიარებულ ქალწული უკვე ვნებათა ტალღებში შესცურდა.

ელენ. მაგრამ ქალწული მაინც ამაყა.

ლევ. ან უკვე შენს ფეხთა ქვეშ არის გაშლართული ვნებით დასუსტებული ადამიანი ელენე! შენს მოზირებულს სუნთქვასა ვგრძნობ, ვგრძნობ შენი გულის, შენი მკერდის სითბოს, შენი პატარა ტურჩების სიმზურავალს. (მიიზიდება).

ელენ. (უცნებ მტკიცე გარდაწყვეტილებით ხელიდან გამოსუსტება. წამოდგება) შეუძლებელია! (პაუზა).

ლევ. (დაღვრემილი) სიცოცხლე ჩემთვის, სჩანს, მხოლოდ ქანდაკებაში უნდა განხორციელდეს. ასეთი ყოფილა ჩემი მედის წეა. ქანდაკებას ხელს დაადრეს! დალონებული სიტყვის გასცქერის) ისევ შენ, ჩემო ღვთაებო! (კვი იყო მთლია ჩემი ცხოვრება და შენც, ჩემო კარო! შენს გაყენულ სხეულში განასახიერე ეს ცხოვრება).

ელენ. (ლევანთან მივა. ხელეშს დაუქერს. აღერსიანად) ხომ არ მოვკვდები?

ლევ. ვინ მომცა შავის უფლება?

ელენ. აბა, თვალეშში შეომზებდე!

ლევ. (დალონებული) ელენე! ელენე!

ელენ. (ლევანის თავს დაიბრის და ღინჯად შუბლში აკოცებს) ტანჯული შუბლი! (საჩქაროდ განშორდება).

(კარებში ძლიერი კაკუნის ისმის).

ლევ. (შემკრთალი) ნინო!

ელენ. მე წავალ.

ლევ. როდის გელოდო?

ელენ. ხვალ, თორმეტ საათზე. (მორიდებ ისმის კაკუნს).

ლევ. მოვიდვიარ. (კარებს გააღებს)

ნინო. (შემოდის. სადა კაბა აცვია. გადავითრებელი და დალონებულია. მაგრამ თვალეშში ძველებზე მტკიცე გამომეტყველება უნათებს. სერიოზული სახით. მაგრამ ზრდილობით ელენეს მიესალმება. ლევანს) სახლში გელოდებდა.

ლევ. ვიც!

ნინო. რატომ არ მოხვიდე? ხომ დაგებარე?

ლევ. ხომ მხედავ, სტუმარი მყავს!

ნინო. ხეხედავ, ძალიან კარგად ვხედავ!

ლევ. მაშნურცა შეითხავ.

ნინო. სტუმარმა შეიძლება არ იცის, რომ სახლში გიცდის ადამიანი, რომელსაც სურს დიდ საქმეზე მოველარაკოს. გარდა ამისა, (ელენეს მიუბრუნდება) თქვენც შეგველოთ მოსულყავით. თუ ლევანის ოჯახში მოსვლა სათავილოდ მიგანიათ.

ელენ. რა გნებავთ მეგათი სთქვათ?

ნინო. არაფერი. ისე ვამბობ, სხვათა შორის.

ელენ. სხვათა შორის მაგანიაოდ არავის ელაპარაკებან. ლევანს ნახვა რომ სათავილოდ მიმზანდეს, აქვე ვერა მნახავდით. ხომ ხედავთ, დავიდვიარ და შემდეგშია ვივალ.

ნინო. რა საკვიროა ქურდულად?

ლევ. ნინო!

ელენ. ქურდულად ის იქცევა, ვინც გულში დანაშაულობას ატარებს.

ნინო. ზოგჯერ ისიც, ვინც დანაშაულობისთვის ემზადება.

ელენ. სჯობს, სანამ ახალ შეჭრაცხყოფას მომავლებდეთ, გაეშორდეთ. მშვიდობით. (გადის. დიდი პაუზა)

ნინო. (აღვლევებული ოთახში დადის. ნაძალადევი სიმშვიდე ერთბაშად ეკარგება) ჩაჩარა წაასოდი!

ლევ. სად?

(შემდეგი იქნება)



ს ა თ ე ა ტ რ ი ლ ა ც ხ ვ რ ე ბ ა

ქუთაისის რკ. გზის მუშათა თეატრი „ხელოვნება“ საფუძვლიანად შეკეთდა მე 3 უბ. ზედამხ. გ. თვალისძის, ადგილკომის თავმჯდომარის და კლუბის გამგეობის მუყაითი მზარუნველობით.

თეატრი თუ აქამდე ერთ ზებრუნულ კაზარმულ შენობას წარმოადგენდა, ეხლა ნამდვილ თეატრალური შრო მიეცა: მიუმატეს 3 საკმაო მოზრდილი ოთახი: ფოიე, სამკითხველო, წიგნთსაცავი ოთახი, სტანისამოსო კარედლორი; დარბაზს მიუმატა აივანი, დაახლ. (60—70 კაცს იტევს). გაძლიერდა სინათლე (3 ჰელიო), სცენის წინ ამოიჭრა ორკესტრის მოსათავსებელი ადგილი.

სცენას არა აქვს დეკორატიული მხატვრული მოწყობილება, რკევიზიტო, კოსტუმები და სხ. (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახლად შექმნილ აზიურ ტანსაცმელს).

დასი დრამურისა შესდგა... საზაფხულო სეზონი გაიხსნა მაისის 15-ს შალვა დადიანის „როს ნადიმობდნენ“-ით. ჰესამ იშვიათი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. აღმსრულებელთ გაა მართლეს რეჟისორის მაღლიანი შვადება.

ჰიესები რეგულიარულად მიდის. საზოგადოებაც საკმაოდ ესწრება... დასს ხელშემაძვირელობს ავადმყოფ თეატრის მსახიობი ან. შერუსიძე...
ვა—ლი.

ქიათრაში ქართ.-ავადმყოფი თეატრის სეზონი დაიწყო ოქტ. 20 „ერთ-მადღობა“-თი დასრულდა ივნ. 15 მხიარული კომ. „არიჭა მიშველეთ“-ი. დასში იყო 4 ქალი და 6 ვაჟი. მიუხედავთ ასეთი სიმციროსა, დასმა მაინც შესძლო 66 წარმოდგენის გამართვა. დასს ხელმძღვანელობდა მსახიობი შ. ხონელი, ინახავდა ადგილობრივი აღმასკომი. რომელიც დიდის ყურადღებით ეპყრობოდა მსახიობთ. დასში იყვნენ ადგილობრივი თეატრის დამსახურებულნი გულშემატკივარნი: სიხარულეთე, ნუცუბიძე, ბერტენიშვილი და ახალგაზრდობა მ. ლევაია, შ. ლევაია, ბორა გამრეკელი, აუტალიდი და პრიაფ. მსახიობნი. სირბილაძე, ანკარა და შალვა ხონელი.

წარმოდგენები იმართებოდა კვირაში ორჯერ—შაბათ-კვირას. საგასტროლოდ იყვენ 6. ჩხეძეთე. ვ. გუჩია და ტ. ანაშიძე, დიდი მადლობის ღირსა ვინც თავისი ენერგიული მუშაობით ხელი შეუწყო სეზონის ასე დავიკრავინებას.

მე—ყურე.

ხონის თეატრს ადგილობრივმა მთავრობამ მიაქცია ყურადღება: მოიწვია ავადმყოფი დრამის ორი მსახიობი მ. ჯაფარიძე (რეჟისორობს) და ბებო ჯაიანი, რომელნიც ახალგაზრდობი ენერგიით და პატიოსნათ ეწევიან თავინათ საქმეს, აგრეთვე მონაწილეებენ ძველი სცენის მოყვარენი: ნადია ვალდავაძისა, გ. წიგნაძეთე, ალ. იოსელიანი, ს. ბახტაძე, ქეთო ქუთათელაძე და სხვ. დასს ჰყავს თავისი გამგეობა, რომელსაც პარტიზანული აქვს მთელი შემოსავალი თეატრის მოახმაროს. წარმოდგენები იმართება კვირაში ერთხელ დაიღობა: „დამწაფივა“, „სამანისვილის დედინაცვალი“ და „ქაკის სამართალი“. ჰიესები კარგად ჩაატარეს. საზოგადოება ბლომით ესწრება და კოვდელოის ქაყაყფილი იშლება.
ვ. გაბუნაძე.

ანაგრაში ივნისის 14-ს გაიხსნა ანაგის ახალი სახალხო თეატრი. წარმოდგენა გაიმართა მეორე დღესაც. სა

ზემო წარმოდგენა მოაწყო ტფილისის სახალხო თეატრის ქართულმა დრამატიულმა დასმა რეისი. ივ. ბარკელის ხელმძღვანელობით. წარმოდგენილი იქნა რამიშვილის „მეზობლები“ რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ნიკო კოკრიძის მონაწილეობით. საკონცერტო განყოფილება მომლოდა და რესპ. სხვ. მსახ. ვანო სარაჯიშვილი. იყო ბაგეტო, საზემო, სიტყვები და მილოცვები. ჟიუტი და ცხოვრ. სახელით მიულოცა გ. თაზიშვილი. ორთავე საღამოს დარბაზი ხალხით გაიჰვდა და მეტად ნასიამოვნები დაიშალა.
დამსწრე.

შორაპანში ამ უკანასკნელად ხშირად იმართება წარმოდგენები სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ. ხალხო ყოველთვის ბლომით ესწრება და შემოსავალიც გვარიანია; სამწუხაროდ, წარმოდგენებს ხანდისხან ისე ატარებენ, რომ გული მოგიკვდება. ამას იწვევს ის გარემოება, რომ აქ სცენისმოყვარენი ორ ბაზაკად გაყოფილან: ახალგაზრდა და ძველი სცენის მოყვარენი. ესენი ერთი მეორეს ექიშვებიან და საკმაო ძალა არ მოეძებვებან: ხან ქალი აკლდებათ, ხან კაცი. ხშირად ახლის ანუ გამოუცდელის მოწვევა უხდებათ, რაიც წარმოდგენებს აუფერულებს. ხალხი ელის ამ ნაკლის გამოსწორებას. სცენისმოყვარეთ ჰმართებთ საუკეთესო ძალთა გაერთიანება, შეთანხმებით მუშაობა, რომ ხელოვნებაში ფრთა ვაშალოს და ხალხშიაც ერთსულდოვნება გაიმტკიცდეს.
სინდონი-ვალა.

საოპერო დასი კახეთს გაემგზავრა ივნ. 16-ს ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“-თი. კახეთში სრულიად არ დადგმულა ოპერა, და ამ ჯგუფს მიზნად ჰქონდა კახეთისთვის გაეცნო რომელიმე საოპერო ნაწარმოები. საოპერო კოლექტივს სათავეში იდგენ მ. კვალაშვილი, გ. ჭურბული და ე. იმერლიშვილი, მდიერ ხელი შეუწყო აქად. თეატრების დირექტორმა ვ. სეიფინიშვილმა (უფასოთ დაუთმო შესატყვის ტანსაცმელი, ნოტები და ფურთაც შეწევია). კოლექტივმა მოიარა თელავი, სინღალი, გურჯაანი, ევლასციხე და ანაგა. თუმცა პირობები არასად არ უწყობდა ხელს, მაგრამ ოპერამ ყველგან კარგათ ჩაიარა. ველისციხეში ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელნი კოლექტივს მიესალმენ ფარად ახალი სცენაზე, აღნიშნეს კახეთისთვის ეს იშვიათი მოვლენა, გამოსთქვეს სურვილი ეს უკანასკნელი არ იყოს და კახეთი მოესწროს ქართულ საოპერო მარგალიტების „ამბესალომ ითორი“-სა და „შოთა“-ს მოსწონს.

თუმცა დასს საეენახო მუშაობის დროს მოუხდა ეს ტურნი, ნივთიერად არ წაუგება.

დასის შემადგენლობა: 1. ქსანიშვილი, 2. ერვანდელი, 3. ჭურბული, 4. კურბანოვი, 5. ელიოანიშვილი, 6. იმერლიშვილი, 7. ივანიანი და 8. ბარხუდარიანი. როიალზე დამკვრელი ე. ფალიაშვილი, რეჟისორი შ. კვალაშვილი.

დასს განზრახვა აქვს მოიაროს საქართველოს ყველა კუთხიები, თუ კი რაიმე დახმარება ექნება ვისგანაც ჯერ არს.

ეუსწრებთ ამ დიდი მიზნის კეთილად დავიკრავინებას.
ქამრატგონი.

